7?,?%

პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა
და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
9 სექტემბერი
1941 წ.
№ 213 (6218)
ფასი 15 კაპ.

მთელი მსოფლიოს ქალებს!

თქვენ, დამოუკიდებლად თქვენი პოლიტიკური მრწამსისა, რელიგიური რწმენისა, სოციალური მდგომარეობისა, მოგმართავთ მილიონობით საბჭოთა ქალების სახელით.

საერთო საშიშროების წინაშე, რომელიც მთელს ცივილიზებულ კაცობრიობას ემუქრება, ჩვენ მივმართავთ თქვენს გრძნობას და გონებას.

ავაზაკი ჰიტლერი, რომელმაც სისხლში ჩაახრჩო ევროპა, ომს აწარმოებს არა მარტო საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ. მას სურს დაიმონოს ევროპისა და ამერიკის ყველა თავისუფლებისმოყვარული ხალხი. ჰიტლერის ფაშისტური ურდოებისათვის არ არსებობს არც რწმენა, არც კანონი, არც სამართალი, არც მორალი, არც პატიოსნება. მათ იციან მხოლოდ ერთი რამ: მკვლელობა.

ჰიტლერმა თავის ურდოებს — კაცობრიობის ამ ნაძირალებს, — შთააგონა, რომ ისინი წარმოადგენენ „უმაღლეს რასას“, რომელიც მოწოდებულია იბატონოს ყველა ერსა და ხალხზე. მან თავის მიერ დაგეშილი მხეცები დასვა მოტორეზე, ჩასხა ტანკებში და თვითმფრინავებში და უბრძანა ზედიზედ გაანადგურონ ქვეყნები. გაუგონარი სისხლიანი სისადისტიკით ასრულებენ ეს მხეცები მის ბრძანებას. ისინი ანგრევენ მშვიდობიან ქალაქებს, ნაცარტუტად აქცევენ სოფლებს. ისინი ხოცავენ ქალებსა და ბავშვებს. გონებადაკარგული ცოლებისა და ქალიშვილების თვალწინ აწამებენ და სპობენ მათ ქმრებსა და მამებს. ისინი თვითმფრინავებით დასდევენ ლტოლვილებს და ჰაერიდან ხვრეტავენ მათ. ისინი თვალებს სთხრიან ტყვეებს და ხოცავენ დაჭრილებს.

გერმანელ ჯარისკაცებს ნებას რთავენ ჩადენილი ბოროტმოქმედების ჯილდოდ სძარცვონ კერძო სახლები და აუპატიურონ ქალები, ქალიშვილები და მოხარდნი.

ქალებო—დედებო, ცოლებო და დებო! ჰიტლერიზმი მთელი მსოფლიოს ქალთა უბოროტესი მტერია!

განუზომელია ქალების ტანჯვა ფაშიზმის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში. იქ, სადაც ფაშისტმა ბანდიტებმა დაადგეს ფეხი, ყველგან ქალთა ტირილი და ვაებაა. ფაშისტმა ავაზაკებმა არა მარტო ნამუსი ახადეს ასიათასობით ქალსა და ქალიშვილს, არამედ ცუდი სენი შეჰყარეს მათ. რამდენი პოლონელი და სერბიელი ქალი და ქალიშვილი შეჰყარეს მათ საროსკიპოებში, რამდენი ადამიანი გაუუბედურეს და რამდენი მიიყვანეს თვითმკვლელობამდე მათ მიერ სასხლით მორწყულ პოლონეთში.

საფრანგეთის ქალებს არასოდეს არ დასდგომიათ ამაზე შავი დღეები. ჰიტლერმა მათ წაართვა ქმრები და ძმები, ფაშისტურმა მხედრობამ მათს შვილებს უკანასკნელი ლუკმა-პური, უკანასკნელი წვეთი რძე წაართვა.

ვისი დედობრივი გული არ შეიკუმშება ტკივილით, როდესაც ხედავს ბავშვთა საშინელ სიკვდილიანობას საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში და სხვა ოკუპირებულ ქვეყნებში? საბერძნეთისა და იუგოსლავიის გზებზე უსახლკარონი და მშიერნი დაძრწიან დედები შვილებითურთ, მოწყალებას თხოულობენ.

სისხლით დამთვრალი ფაშისტ ბარბაროსთა ურდოები აბუჩად იგდებენ კათოლიკე და პროტესტანტ ქალთა რელიგიურ გრძნობებს, ჰბილწავენ ტაძრებს და ძარცვავენ საეკლესიო ქონებას.

სიტყვა ვერ ასწერს იმას, რასაც ფაშისტი ავაზაკები სჩადიან ქალების მიმართ საბჭოთა ქვეყნის რაიონებში, რომლებიც მათ დროებით ხელთ იგდეს. მათ სადიზმს საზღვარი არა აქვს. ეს საზიზღარი ლაჩრები წინ მიერეკებიან ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს, რათა საფარად გამოიყენონ წითელი არმიის ცეცხლისაგან. მათ მიერ გაუპატიურებულ მსხვერპლთ ისინი მუცელს უფატრავენ, ძუძუებს აჭრიან, მანქანებით სრესავენ, ტანკებით ჰგლეჯენ.

დებო, ყური დაუგდეთ გერმანელი ფაშისტი არამზადების სისხლიან დანაშაულთა ამბავს! უკრაინულ სოფელში მათ გააუპატიურეს ევგენია პაზური, შემდეგ ძუძუები მოსჭრეს და ჭრილობიან ტანზე მარილი დააყარეს.

ისინი დედების თვალწინ აწამებენ და ხოცავენ მცირეწლოვან ბავშვებს. ბელორუსულ სოფელში გამხეცებულმა გერმანელმა ჯარისკაცმა კონდახით სცემა ბიჭს საშა სერგუნს. გონებადაკარგული დედა ცდილობდა თავისი სხეულით დაეფარა ბიჭი. იგი შვილთან ერთად განგმირეს.

თვით გერმანიაში გერმანელ დედებს ჰიტლერმა შვილები მოსტაცა და ისინი გამხეცებულ მკვლელთა და დამნაშავეთა ბანდად აქცია. შებილწული გერმანელი ქალი მან მხევლის დამამცირებელ მდგომარეობაში ჩააგდო. ჰიტლერის გერმანიაში ქალი ჯარისკაცის მწარმოებელი მანქანაა. ჰიტლერის სახელმწიფო მას ისე ეპყრობა, როგორც ჯოგის პატრონი პირუტყვს, რომელიც ნამატს იძლევა.

ქალო — დედავ! შენ შემოგღალადებს ვარშავაში დახოცილი და ბრესტში დაგლეჯილი ბავშვების სისხლი. გუშინ ფაშისტთა თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ბავშვებს ლონდონში, რიგასა და პსკოვში, ხვალ კი ისინი შეეცდებიან მოსპონ ბავშვები ნიუ-იორკში.

საცოლოებო და ცოლებო! ფაშიზმი გართმევთ ოჯახსა და სიყვარულს, იგი ყლეტს თქვენს ქმრებს, საქმროებსა და ძმებს.

თქვენი ხალხების თავისუფლების გულისათვის, თქვენი შვილების ბედნიერების გულისათვის ყველანი აღსდექით წმინდა ომის საწარმოებლად ჰიტლერიზმის წინააღმდეგ.

ფაშისტი მტარვალები ვერ გასტეხენ საბჭოთა ქალის მამაცობას. საბჭოთა ქალი შეუდრეკლად დგას თავის საგუშაგოზე, ხელიხელჩაკიდებული წითელ არმიასთან, რომელმაც თავს იდო ჰიტლერელთა ურდოების თავდასხმის მთავარი სიმძიმე. რაც უფრო მეტად მძვინვარებს მტერი, მით უფრო მაგალითა საბჭოთა ქალის გული და ნებისყოფა გამარჯვებისადმი. მოწინავე პოზიციებზე იგი დახმარებას უწევს დაჭრილებს, იგი აკრობს ფაშისტ მფრინავთა მიერ გამოწვეულ ხანძარს, იგი დაზგასთან დგას და იარაღს და ჭურვებს აკეთებს. იგი იბრძვის პარტიზანულ რაზმებში ქმართან და ვაჟიშვილთან ერთად. მისი აზრები და მისი ნებისყოფა გამოხატა უბრალო რუსმა დედამ მართა ნიკიფორეს-ასულმა ზაბოლოტნაიამ, რომელმაც თავის შვილს წითელარმიელს მისწერა: „გლოცავ, წინ გიძღოდეს ჩემი სამშობლოს მრისხანება“.

ჰიტლერელ მხეცებთან ბრძოლაში საბჭოთა ქალების ლოზუნგად იქცა ძახილი — სისხლი სისხლისა წილ! სიკვდილი სიკვდილისა წილ!

მთელი მსოფლიოს ქალებო! ძვირფასო დებო!

თვითონ ჩვენზეა დამოკიდებული ჩვენი თავისუფლება, საყვარელი შვილების, ძმების, საქმროებისა და ქმრების ბედი! ახლა ცრემლისღვრის დრო არ არის. ჩვენს ხალხებს და ჩვენს ოჯახებს მონობისა და სირცხვილისაგან იხსნის მხოლოდ შეუპოვარი და სასტიკი ომი ფაშიზმთან მანამდე, სანამ საბოლოოდ არ გავიმარჯვებთ ჰიტლერელებზე.

წითელი არმია გმირულ ბრძოლას ეწევა მთელი კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. ახლა საბჭოთა კავშირის ბრძოლის ველებზე წყდება მთელი მსოფლიოს მომავლის ბედი. სმოლენსკის მახლობლად და დნეპრზე წარმოებულ ბრძოლებში წყდება ბედი ლონდონისა და პარიზისა, ვარშავისა და როტერდამისა.

პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, იუგოსლავიის, რუმინეთის, ნორვეგიისა და გერმანული ფაშიზმის მიერ ოკუპირებული სხვა ქვეყნების ქალებო! მოგიწოდებთ იბრძოლოთ თქვენ სამშობლოსათვის, ღირსებისათვის, თქვენი ბავშვების სიცოცხლისათვის, თქვენი ოჯახის კერებისათვის. იყავით თქვენი მამების, ქმრებისა და ძმების ერთგული თანაშემწენი წმინდა ომში ჰიტლერელი ჯალათების წინააღმდეგ!

ნუ შეურიგდებით შიმშილს! მოსთხოვეთ პური, ტანსაცმელი და ნახშირი თქვენს გამძარცველ ჰიტლერელებს, წინააღუდექით რეკვიზიციებს! გადამალეთ სურსათი! ყოველგვარი ხელმისაწვდომი საშუალებით შური იძიეთ ჰიტლერელებზე — თქვენი ვაჟიშვილების და ქმრების მკვლელებზე, თქვენი ქალიშვილების მაწამებლებზე!

გერმანელო ქალო, შენ უმეტესი პასუხისმგებლობა გაკისრია!

გერმანელი ხალხის ისტორიაში სამარცხვინო შავ ფურცლად დარჩება ჰიტლერიზმის ბატონობას საშინელი პერიოდი.

გერმანელო ქალო! ჩაები ყველა თავისუფლებისმოყვარული ხალხის ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ. დააბრკოლე სამხედრო ეშელონების გზავნა ფრონტზე! მოითხოვე პური შენი დამშეული ბავშვებისათვის. ყოველგვარი ხელმისაწვდომი საშუალებით შეუშალე ხელი სამხედრო წარმოებას.

ინგლისელო ქალებო! თქვენ, ფაშისტი სვავების ბარბაროსული თავდასხმებისაგან თქვენი ჭშობლიური მიწა-წყლის მამაცო დამცველნო, შური იძიეთ თქვენს მოსისხლე მტრებზე ქალაქების დანგრევის გამო, ოჯახების დაობლების გამო, ლონდონის, კოვენტრისა და ბირმინჰამის ბომბარდირების გამო! საბჭოთა კავშირმა ინგლისს სერიოზული დახმარება გაუწია, აღმოსავლეთისაკენ წამოსწია რა ჰიტლერის არმიის მთავარი ძალები. ჩვენ გვჯერა, რომ ამის პასუხად თქვენ, ინგლისელ ქალებს და მთელ ინგლისელ ხალხს მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი დახმარება გაუწიოთ საბჭოთა ხალხს და მის გმირულ არმიას.

ამერიკისა და ყველა თავისუფლებისმოყვარული ქვეყნის ქალებო! ყოველგვარი საშუალებით დაეხმარეთ სამართლიან ომში საბჭოთა კავშირსა და ინგლისს, რომლებიც იბრძვიან არა მარტო თავიანთი თავისუფლებისათვის, არამედ თქვენი ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვისაც. ზარდეთ სამხედრო წარმოება და აძლიერეთ მომარაგება არმიებისა, რომლებიც ომობენ ჰიტლერიზმის წინააღმდეგ. ამხილეთ ჰიტლერელი აგენტები, რომლებიც ჰფუშავენ თავისუფლებისმოყვარული ხალხების ერთიან ფრონტს ფაშიზმთან ბრძოლაში. უგზავნეთ მედიკამენტები, თბილი თეთრეული, საჩუქრები სახელოვან მებრძოლებს, რომლებიც სპობენ ფაშისტთა ურდოებს.

მთელი მსოფლიოს ქალებო! შეჰქმენით პირსისხლიანი ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტი!

ჩვენს ერთიანობაშია ძალა და გამარჯვების საწინდარი!

ჩვენი საქმე სამართლიანია, მტერი განადგურებული იქნება, ჩვენ გავიმარჯვებთ!

ვალენტინა გრიზოდუბოვა — საბჭოთა კავშირის გმირი; **ვ. ბარსოვა** — სსრკ სახალხო არტისტი; **გასტელო** — მფრინავის, საბჭოთა კავშირის გმირის დედა; **ანა კარავაევა** — მწერალი; **კოონენი** — რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი; **კუზნეცოვა** — სტალინის სახელობის ქარხნის მუშა; **მალკოვა** —მკერავთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე; **მუხინა** — მოქანდაკე; **კლავდია ნიკოლაევა** — საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი; **პანკრატოვა** — მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი; **მარინა რასკოვა** — საბჭოთა კავშირის გმირი; **სიმანუფკოვა** — ფეიქართა კავშირის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე; **ზინაიდა ტროიცკაია** — მოსკოვის ირგვლივი გზის უფროსი; **კლავდია კუკუშკინა** — ფრონტელი ექიმი; **ოლგა სოკოლოვსკაია** —ფრონტელი მედდობილი; **ელენე ყავორონკოვა** — ფრონტელი მედდობილი; **დოლორეს იბარური; ანა პაუკერი; ერშოვა** —ფრონტელი მედდობილი; **ოლგა მიშაკოვა; ტატიანა ფედოროვა** — მეტრომშენის ინჟინერი; **გოლუბევა** — მქსოველი; **ზაიცევა** — ორეხოვო-ზუევოს 1-ლი საფეიქრო ფაბრიკის დირექტორი; **ევსეევა**—აბრეშუმის მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი; **ნიკიტინა** — მატყლის მრეწველობის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე; **პ. ვავილოვა** — იარცევის ფაბრიკის მუშა; **ეკატერინე ერმაჩენკოვა** —იარცევის ფაბრიკის მუშა; **ნინა პოპოვა** — ქალ. მოსკოვის კრასნაია პრესნიას რაისაბჭოს თავმჯდომარე; **პოლიაკოვა** — ქალ. მოსკოვის ოქტომბრის რაისაბჭოს თავმჯდომარე; **ლ. კუზნეცოვა** — ფაბრიკა „კრასნი ვოსტოკის“ მუშა; **კ. არხიპოვა** — კალინინის სახელობის № 3 მანქანათმშენებელი ქარხნის ტექნოლოგი; **დ. ყურავლიოვა** — ქარხანა „შარიკოპოდშიპნიკის“ საამქროს ოსტატი; **ზ. კოლოსოვა** — სამკერვალო ფაბრიკა „კრასნაია შვეიას“ მუშა; **კ. ემელიანოვა** — სტალინის სახელობის ქარხნის მუშა; **ა. იაბლოჩკინა** — სსრ კავშირის სახალხო არტისტი; **გ. ულანოვა** —რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი; **მ. ანდრეევა** — მეცნიერთა სახლის დირექტორი; **კ. პროხოროვა** — კავშირგაბმულობის მუშაკი; **მატიუშინა** —ქარხანა „კრასნი ბოგატირის“ ინჟინერი; **ფედოროვა** — ქარხანა „კაუჩუკის“ ტექნიკური კონტროლის უფროსი; **მაკაროვა** — ფაბრიკა „პროლეტარსკი ტრუდის“ დირექტორი; **ლ ოსეევა** — ფაბრიკა „კარდოლენტის“ მთავარი ინჟინერი; **რუბინოვიჩი** — კრასნაია პრესნიას მანქანათმშენებელი ქარხნის წარმოების უფროსი; **კოლოსოვა; მ. სმიტ-ფალკენერი** — მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი; **ე. კოროსტილევა** — ქარხანა „ფრეზერის“ ინჟინერი; **ო. კრეიპაიტესი** — ქარხანა „კალიბრის“ მოარველი; **ა. ზაიცევა** — ლენინის სახელობის ქარხნის მუშა; **ა. ტენიხინა** — კალინინის სახელობის ქარხნის მუშა; **ვ. კრესტოვნიკოვა** — სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ო. მოლჩანოვა**—ფიზიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ა. ბლიზნიანსკაია** — სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ლ. სმირნოვა** — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; **შახოვა; ლ. შტერნი** — აკადემიკოსი.

გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმა მოსკოვზე

8 სექტემბერს ღამით გერმანიის რამდენიმე თვითმფრინავმა სცადა თავს დასხმოდა მოსკოვს. საზენიტო არტილერიის ცეცხლით და ღამის ავიაგამანადგურებლების მიერ მტრის თვითმფრინავები მოსკოვამდე დაშვებული არ იქნენ. ქალაქისაკენ გამოიჭრა მხოლოდ 2 თვითმფრინავი, რომლებსაც სროლა აუტეხა საზენიტო არტილერიამ. თვითმფრინავებმა უწესრიგოდ ჩამოყარეს წვრილი ყალიბის რამდენიმე ფუგასური ყუმბარა და ცეცხლწამკიდი ყუმბარების მცირე რაოდენობა. უმნიშვნელოდ დაზიანდა სამი საცხოვრებელი შენობა.

ლაპარაკობს ლენინის ქალაქი

რადიოგადაცემა ლენინგრადიდან

6 სექტემბერს შესდგა დიდი რადიოგადაცემა ლენინგრადიდან. მთელი ჩვენი ქვეყანა ისმენდა ლენინის დიადი ქალაქის წარმომადგენელთა გამოსვლას, ლენინის ქალაქისა, რომელიც მამაცურად იცავს თავს ჰიტლერელთა პირსისხლიანი ურდოებისაგან.

მიკროფონთან პირველი გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივანი, ლენინგრადის დაცვის სამხედრო საბჭოს წევრი ამხ. კუზნეცოვი.

— ძვირფასო ამხანაგებო! — ამბობს იგი,—მებრძოლო თანამოსაგრენო, მშობლიური მოსკოვის, გმირული კიევის, მზიური საქართველოს, მძლავრი ურალის, ნავთის ბაქოს, ქალაქ გორკის მშრომელნო, ჩვენი საყვარელი სამშობლოს ყველა ქალაქისა და სოფლის მშრომელნო! თქვენი მასალაბის სიტყვებს ჩვენ ისე განვიცდით, როგორც ძმური ხელის მხურვალე ჩამორთმევას. ეს სიტყვები ღრმად ჩაგვწვდა გულში, მათ კიდევ უფრო განამტკიცეს ჩვენი სიმხნევე და გამარჯვების რწმენა.

მადლობას გიძღვნით დახმარებისათვის.

საზიზღარი და ვერაგი მტერი ცდილობს გამოიჭრას ლენინგრადისაკენ, ცდილობს განახორციელოს თავისი სისხლიანი ზრახვა. არაფერი გამოუვა, გჯეროდეთ ჩვენი, ძვირფასო ამხანაგებო! ჰიტლერელი ყაჩაღები ვერ იხილავენ ლენინგრადს. უცხოელი დამპყრობლებისათვის ლენინის ქალაქი მიუდგომელი ციხე-სიმაგრე იყო, არის და იქნება კიდევაც.

ამაყად დგას ნევაზე ჩვენი ტურფა ლენინგრადი. იგი ააგო ჩვენმა დიდმა რუსმა ხალხმა. აქ, მუშათა განაპირა უბნებში, დიდმა ლენინმა საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიკური პარტიის უჯრედს. აქედან ხელმძღვანელობდნენ ლენინი და სტალინი დიდ სოციალისტურ რევოლუციას. აქ დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ანადგურებდა პიტერის პროლეტარიატი იუდენჩის ბანდებს. რევოლუციის წლებში განდიდებული ჩვენი ქალაქი უდიდეს ინდუსტრიულ და კულტურულ ცენტრად გადაიქცა. და ახლა, სერიოზული საფრთხის ჟამს, კიდევ უფრო ძვირფასი, მახლობელი და მშობლიური გახდა ყოველი ჩვენთაგანისათვის — ყველა საბჭოთა ადამიანისათვის. ასეთ ქალაქს ჩვენ ვიცავთ და დავიცავთ ძალღონის დაუზოგავად, თვით სიცოცხლის დაუზოგავად!

ამხ. კუზნეცოვი ლაპარაკობს იმ გმირულ წინააღმდეგობაზე, რასაც წითელი არმია და სახალხო ლაშქრის რაზმები უწევენ მტერს, რომელიც სისხლისაგან იცლება, მაგრამ ჯერ კიდევ საშიშია. თავიანთი რევოლუციური ტრადიციების ერთგული ლენინგრადელები სასტიკად ურტყამენ მტერს, ცეცხლითა და რკინით ანადგურებენ მის შავბნელ ურდოებს. ლენინგრადის მისადგომებთან უკვე ჰპოვა სამარე ათიათასობით ჰიტლერელმა ოფიცერმა, ასობით ფაშისტთა თვითმფრინავმა და მტრის ტანკებმა. ქალაქის მისადგომთა დაცვისას მამაცმა შეავრდნებმა, ამხანაგებმა — ზღოროვცევმა, ეუკოვმა, ხარიტონოვმა პირველებმა იწყეს ფაშისტთა თვითმფრინავების განგმირვა დაჯახებით. ამ ცოტა ხნის წინათ ლენინგრადის მახლობლად 5 საბჭოთა ტანკმა უფროს ლეიტენანტ კოლობანოვის მეთაურობით ერთ ბრძოლაში ფაშისტთა 38 ტანკი მოსპო. ფართოდ ცნობილია უშიშარი მეომრის ივანე სერედას სამგმირო საქმენი. ერთერთ ბრძოლაში მან მტრის 20 მოტოციკლისტი ჩამოაგდო, მეორე ბრძოლის დროს მტრის ტანკს შეახტა და ნაჯახით მოღუნა ტყვიამფრქვევის ლულა. მეტყვიამფრქვევე ეფიმკინმა და მისმა მებრძოლმა გუნდმა 100-ზე მეტი ფაშისტი მოცელა.

— საბჭოთა მეომრების გმირობა მასობრივი ხდება,—ამბობს ამხ. კუზნეცოვი.—ამ დღეებში პოლკოვნიკ ვოლდირევის ქვედანაყოფმა გამანადგურებელი იერიშით განდევნა მტერი რამდენიმე მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტიდან, ამოხოცა დაახლოებით ერთი პოლკი ფაშისტები და ხელთ იგდო დიდი ნადავლი. 2 სექტემბერს ღამით მოლაშქრეთა ქვედანაყოფმა ამხ. რადიგინის მეთაურობით ხიშტით მიტანილი გაბედული იერიშით განდევნა გერმანელები 2 დიდი სოფლიდან, მრავალი ტყვე წამოიყვანა და ხელთ იგდო ნადავლი.

ქალაქი ფრონტად იქცა. შეიარაღებული ხალხი გმირულ წითელ არმიასთან, ბალტიის ფლოტის სახელოვან მეზღვაურებთან გაერთიანდა. ათიათასობით მშრომელი უშუალო ფრონტის ახლოს აგებს სიმაგრეებს ლენინგრადის ირგვლივ. ჩვენი ქარხნების საამქროებსა და სახელოსნოებში მუშები, მუშა ქალები და ინჟინრები დღედაღამ სჭედავენ მრისხანე იარაღს. ლენინგრადის ფრონტის მძლავრ არსენალად გადაიქცა მთელს ჩვენს ქვეყანაში სახელგანთქმული სამგზის ორდენოსანი კიროვის ქარხანა, ისევე როგორც ლენინგრადის მრავალი სხვა საწარმო. ჩვენი სტახანოველები და დამკვრელები ცდილობენ არ ჩამორჩნენ ფრონტის მოწინავეებს და ყოველდღე ორ-ორ და სამ-სამ საწარმოო ნორმას ასრულებენ. ლენინგრადელი ქალები მამაკაცების მხარდამხარ შრომობენ, იბრძვიან ფრონტზე, თავგამოდებით მუშაობენ დაზგებთან და თავდაცვითს მშენებლობაზე.

სიტყვას გაძლევთ, ძვირფასო მეგობრებო,—ამთავრებს თავის გამოსვლას ამხ. კუზნეცოვი, — რომ ჩვენ—ლენინგრადელები ისე ვიბრძოლებთ მოსისხლე მტრის წინააღმდეგ, რომ ჩვენს შვილებს შეეძლოთ იამაყონ თავიანთი მამების საქმით, რომელნიც არა მარტო აშენებდნენ და აშშვენიერებდნენ თავიანთ ქალაქს, არამედ კიდევაც დაიცვეს იგი მედგრად და მამაცურად, ყველაფერი შესწირეს სამშობლოს კეთილდღეობას. ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან ჩვენ გვინდა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერება, რაც გამოვცადეთ სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ. დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ ვურტყამთ მტერს, გავსრესთ, გავანადგურებთ და მოვაპობთ ჰიტლერელთა ბანდას.

მიკროფონთან გამოდის მფრინავი-გამანადგურებელი, ორგზის ორდენოსანი ამხ. ტიტარენკო.

— მტრის აეროდრომებზე და ცოცხალ ძალაზე იერიშის მიტანით ჩვენი შენაერთის მფრინავებმა მტრის 75 თვითმფრინავი მოსპეს. ფაშისტთა 300-ზე მეტმა თვითმფრინავმა ჰპოვა სამარე ლენინგრადის მისასვლელებთან. სიტყვას გაძლევთ, — მიმართავს მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებს ამხ. ტიტარენკო,—რომ სახელოვანი სტალინელი შევარდნები დაუნდობლად გაანადგურებენ და მოსპობენ მტერს. მიწაზე და ჰაერში ჩვენი გმირული ქალაქის მისადგომები ფაშიზმის სამარედ გადაიქცევა! გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

გამოდის სამგზის ორდენოსანი კიროვის ქარხნის მუშა ამხ. კაზაკოვი.

— ჩვენ გვესმის, რომ მტერი ჯერ კიდევ ძლიერია, საშიშროება ფრიად დიდია. მაგრამ ჩვენ ფიცი დავდეთ: გერმანელი ფაშისტები ვერ შემოადგამენ ფეხს ლენინგრადში, ისევე როგორც არასოდეს არ შემოუდგამს ფეხი არცერთ მტერს ჩვენს ქალაქში! ჩემი მშობლიური კიროვის ქარხანა, ისევე როგორც მთელი ლენინის ქალაქი, ერთი ფიქრით ცხოვრობს: ყველაფერი მისცეს ფრონტს, გამარჯვების საქმეს. ათასობით კიროველი იარაღით იცავს თავის ქალაქს, ხოლო ქარხანაში დარჩენილი თვითეული მუშა ორის, სამის მაგივრად მუშაობს. წითელ არმიას კიროველები აწვდიან მძლავრ საბრძოლო მანქანებს. ისინი შიშის ზარს სცემენ მტერს, დაღუპვა მიაქვთ მისთვის. ლენინგრადია მთელი სახელოვანი ინდუსტრია იარაღის გიგანტურ სამჭედლოდ გადაიქცა. და ლენინგრადელი მუშები ისე შრომობენ თავიანთ დაზგებთან, როგორც მეომრები ფრონტზე.

ჩვენს ბრძოლაში ჩვენ ყოველ საათობით ვგრძნობთ მთელი საბჭოთა ხალხის მხურვალე დახმარებას. ეს დახმარება აათკეცებს ჩვენს ძალებს და მე მინდა გითხრათ, მეგობრებო და ამხანაგებო: გავწყდებით, მაგრამ ლენინგრადს არ დავთმობთ! ლენინგრადი საბჭოთა ქალაქი იყო, არის და იქნება კიდევაც!

გაუმარჯოს ჩვენს სტალინს!

მგზნებარე სიტყვით გამოდის უმცროსი სერჟანტი გრომოვი.

— ამხანაგებო,—ამბობს იგი,— ჩვენ ვიცავთ ჩვენი სამშობლოს უდიდეს სამრეწველო და კულტურულ ცენტრს; ჩვენ ვიცავთ მშვენიერ ქალაქს, სადაც ჩვენი სამშობლოს ძლიერებას სჭედავდნენ დიდი ლენინი და დიდი სტალინი. ჩვენ ვიცავთ მსოფლიოს უდიდეს კულტურის საგანძურს, ჩვენ ვიცავთ ქალაქს, სადაც მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ შრომობდნენ ჩვენი ხალხის ისეთი დიდი წარმომადგენელნი, როგორიც იყვნენ ლომონოსოვი, პუშკინი, გოგოლი, ნეკრასოვი, ჩაიკოვსკი, გორკი, პავლოვი და მეცნიერებისა და კულტურის ასობით სხვა ბუმბერაზი. ჩვენ ვიცავთ ჩვენს კერას, ჩვენს შვილებსა და დედებს, მათს სიცოცხლესა და კეთილდღეობას, ღირსებას და თავისუფლებას.

ლენინგრადის ფრონტის ნაწილთა მეომრები, მეთაურები, კომისრები და პოლიტმუშაკები ფიცს სდებენ თავიანთი სამშობლოს, თავიანთი ხალხის წინაშე: ვერცერთი ფაშისტი ბანდიტი ვერ შემოსდგამს ფეხს ლენინის ქალაქში. ვფიცავთ, რომ არცერთი ჩვენგანი ხელიდან არ გაუშვებს თავის მრისხანე იარაღს მანამდე, სანამ ჩვენი მიწა-წყალი არ გიწმინდება ფაშისტი კაციჭამიებისაგან.

მოგმართავთ ფქვენ, ძვირფასო მეგობრებო! ისე იმუშავეთ ფაბრიკებსა და ქარხნებში, რომ უოლს ყოველი მოქნევა, კბილანას ყოველი მობრუნება, თქვენი ყოველი მოძრაობა, მთელი თქვენი ფიქრები მიმართული იყოს ერთი მიზნისაკენ — საზიზღარი მტრის განადგურებისაკენ. მეტი იარაღი, მეტი ტანკი, თვითმფრინავი, ქვემეხი, ნაღმმტყორცნი, ჭურვი, ტყვიამფრქვევი ჩვენი წითელი არმიისათვის! უფრო მაგრად დაცხოთ მტერს! ყველანი გამოდით ლენინგრადის დასაცავად!

გამოდის მუშა ქალი ამხ. კოკუშკინა.

— ამხანაგებო!—ამბობს იგი,— მინდა გიამბოთ, თუ რით არის გამსჭვალული ჩემი, როგორც დედის, გული, მინდა გაგიზიაროთ ჩემი ფიქრები და გრძნობები. მე სამი შვილის დედა ვარ. ქმარი ადრე მომიკვდა და მარტო ვუვლიდი და ვზრდიდი ბავშვებს. თქვენთვის გასაგებია, რომ სიცოცხლეზე მეტად მიყვარს ჩემი შვილები. როგორც კი დაიწყო ომი გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ, ორი უფროსი შვილი ფრონტზე გავაცილე და დავარიგე, რომ მუდამ სამაგალითონი იყვნენ ბრძოლაში, ახსოვდეთ, რომ ისინი სახელოვანი ვიბორგის მხარიდან არიან. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი შვილები გაამართლებენ დედის ნდობას. არტილერისტი გიორგი კოკუშკინი და პოლიტხელი ვლადიმერ კოკუშკინი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლებენ საბჭოთა სამშობლოსათვის.

ამხანაგო ქალებო და დედებო! მოსიყვარულე სიტყვით მივმართოთ ჩვენს შვილებს, ძმებსა და ქმრებს, მივცეთ თმა ურღვევი განაწესი—კიდევ უფრო მაგრად დასცხონ მტერს, სანამ სრულიად არ გაანადგურებენ. ჩვენი, ქალთა ხელები კი, მრისხანებითა და ფაშისტ დამშონებლებისადმი უდიდესი სიძულვილით აღსავსე ჩვენი მგზნებარე გული საჭიროა ამჟამად საერთო ბრძოლისათვის. დაე, ყოველი ჩვენგანი შეეკითხოს თავის თავს, რა შეუძლია გააკეთოს თავისი ქალაქის დაცვისათვის, დაე, ყოველმა ჩვენგანმა იპოვოს თავისი ადგილი ლენინგრადის დამცველთა რიგებში.

ლენინის სახელოვანი ქალაქისადმი მიძღვნილი საბრძოლო ლექსით მთავრდება რადიოგადაცემა.

გვისმენე ჩვენ, საბჭოთა ხალხო!
დიდმა და პატარამ.
მოტორთა გუგუნში, ქვემეხთა
გრიალში
თქვენ გეუბნებათ ლენინგრადი...
ჩვენ გვაკავშირებს დიადი ფიცი
და ერთნაირად სცემს ჩვენი
გული.
მძლავრი ძახილით
„სამშობლოსათვის!“,
სტალინის სახელით
აღფრთოვანებულნი
ჩვენ გავიმარჯვებთ!

ლენინგრადი საბჭოთა ქალაქი არის და იქნება

გუშინ, მუშაობის დამთავრებისას, დიდი ერთსულოვნებით შეიკრიბა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშაკთა კოლექტივი.

მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა ლენინის ქალაქის გმირულ დაცვასთან დაკავშირებით ლენინგრადში 6 სექტემბერს შემდგარი მიტინგის მასალების განხილვას, ინფორმაციით გამოვიდა ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. ი. ნეფარიძე.

სიტყვა აიღო სტახანოველმა ხარატმა, თეთრფინელებთან ბრძოლების მონაწილე ამხ. ი. ჭუმბურიძემ.

— ლენინგრადი საბჭოთა ხალხის სიამაყეა, პროლეტარული რევოლუციის აკვანი. იგი არასოდეს არ ყოფილა მტრის ხელში. ჰიტლერელი ბარბაროსები ვერ ეღირსებიან ფეხი შესდგან ლენინის ქალაქში. მტერი ლენინგრადის მისასვლელებში იპოვნის საფლავს.

ტრიბუნაზეა სტახანოველი ამხ. ივ. სელიხოვი.

— გათავხედებულმა მტერმა დაიგიწყა ისტორიის გაკვეთილები და კვლავ დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს. ლენინგრადის გმირი მშრომელები, მთელი საბჭოთა ხალხი მოაგონებს გაბოროტებულ და ჭკუადაკარგულ მტერს ისტორიის გაკვეთილებს. სამოქალაქო ომის წლებში მტერმა სწორედ ლენინგრადთან დაიმსხვრია კბილები. ჰიტლერელებიც ლენინგრადთან მოიტეხენ ღორულ დინგს, იქ გაითხრიან სამარეს.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ინჟინ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

7 სექტემბრის დილის ცნობა

6 სექტემბერს ღამით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლას მთელ ფრონტზე.

* * *

პოლკოვნიკ ტურიკინის ნაწილის მფრინავებმა, რომელიც ფრონტის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მოქმედებს, გერმანელთა რამდენიმე აეროდრომი გაანადგურეს. ამ ნაწილის ერთერთი ქვედანაყოფი, რომელსაც კაპიტანი დიატლოვი მეთაურობს, მტრის აეროდრომს თავს დაესხა იმ მომენტში, როდესაც იქ რამდენიმე მწკრივად იდგნენ გასაფრენად გამზადებული მტრის თვითმფრინავები „ოუნკერს — 88“ და „მესერშმიტ — 109“. ჩვენმა მფრინავებმა ფაშისტთა თვითმფრინავებს აფრენის საშუალება არ მისცეს და მტრის 30-ზე მეტი მანქანა მოსპეს აეროდრომზე. უკან დაბრუნებისას საბჭოთა ყუმბარმშენების ქვედანაყოფს გზაში თავს დაესხა 4 „მესერშმიტი“. ბრძოლაში ჩვენმა მსროლელმა რადისტებმა მტრის ორი მანქანა ჩამოაგდეს. იმავე დღეს კაპიტან გალუშენკოს რგოლმა გერმანელთა დიდი მოტოკოლონა აღმოაჩინა, რომელიც 15 კილომეტრზე იყო გაჭიმული გზატკეცილზე. თვითმფრინავებმა ზურგიდან მიიტანეს იერიში კოლონაზე და მოსპეს რამდენიმე ტანკი, 60 ავტომანქანა და 600-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მეორე დღეს დილით ლეიტენანტ ტაბაჩნის რგოლმა გაანადგურა გერმანელთა ქვეითი ჯარის ბატალიონი და 20-მდე ავტომანქანა.

* * *

უფროს სერჟანტ აფონინის ოცეულის წინააღმდეგ გერმანელებმა 7 ტანკეტი გამოიყვანეს. ოცეულის მეთაურმა უბრძანა მოემზადებინათ ხელყუმბარების კონები და საწვავით სავსე ბოთლები. როდესაც ტანკეტები მიუახლოვდნენ, ამხ. აფონინმა პირველი ესროლა საწვავით სავსე ბოთლი მტრის ერთერთ მანქანას. ტანკეტს ცეცხლი გაუჩნდა. ოცეულმა საწვავით სავსე ბოთლებითა და ხელყუმბარების კონებით მოსპო ფაშისტთა ყველა ტანკეტი და დახოცა მათი ეკიპაჟები ისე, რომ არცერთი მებრძოლი არ დაუკარგავს.

* * *

წითელი არმიის მეომრები თავგანწირულად იცავენ თავიანთი მეთაურების, პოლიტხელელებისა და კომისრების სიცოცხლეს. მამაცობისა და მეომრის ვალის თავდადებით შესრულების მაგალითი გვიჩვენა მეომარმა იაკობ დმიტრიევმა, რომელმაც ორი მეთაური გადაარჩინა სიკვდილს. თეთრფინელებთან ერთერთი ცხარე შეტაკების დროს მან შენიშნა, რომ მტრის მეავტომატე უფროს ლეიტენანტ ფილიპოვს უმიზნებს. ამხ. დმიტრიევმა ზუსტი სროლით განგმირა თეთრფინელი. მეორე ბრძოლაში ამხ. დმიტრიევი ლეიტენანტ ამხ. ეაბასთან ერთად ქვედანაყოფის წინ იმყოფებოდა. ორივე მხრით ინტენსიური სროლა იყო გაჩაღებული. უეცრად წითელარმიელმა დაინახა, რომ ბუჩქს ამოფარებული თეთრფინელი სნაიპერი ლეიტენანტს უმიზნებს. ამ დროს ამხ. დმიტრიევს ვაზნები გამოელია. მებრძოლი ერთ წამსაც არ დაფიქრებულა, წინ დაუდგა მეთაურს და საკუთარი მკერდით დაიფარა იგი. მტრის ტყვიამ განგმირა მგზნებარე საბჭოთა პატრიოტი — წითელარმიელი დმიტრიევი. გმირი მებრძოლის სიკვდილი მტერს ძვირად დაუჯდა: ბრძოლის ველზე თეთრფინელთა ათობით გვამი დარჩა.

* * *

გერმანიის ჯარზე, რომელმაც სმოლენსკის ოლქის რამდენიმე დასავლეთი რაიონი ჩაიგდო ხელში, პირველ დღეებიდანვე განუწყვეტლივ მიაქვთ იერიში პარტიზანულ რაზმებს. ერთერთ რაიონში გერმანელებმა სცადეს მოეწყოთ სახელოსნო დაზიანებული ტანკეტებისა და ავტომანქანების შესაკეთებლად. პარტიზანული რაზმი, რომელსაც კომბაინერი ფ. მეთაურობს, 29 აგვისტოს ღამით გაბედულად დაესხა თავს ამ სახელოსნოს. პარტიზანებმა დახოცეს 30-მდე გერმანელი, მოსპეს 15 ავტომანქანა ტანკეტისა და ავტომობილების სათადარიგო ნაწილებითურთ. ამავე დღეს პარტიზანები თავს დაესხნენ ფაშისტთა ავტოკოლონას და მოსპეს ავტოსაფარებით დატვირთული სამი სატვირთო მანქანა და საწვავით აკავე 6 ცისტერნი.

პარტიზანულმა რაზმმა, რომელსაც მილიციონერი ამხ. ე. მეთაურობს, გაიგო, რომ მოსკალჟის მახლობლად ფაშისტები აეროდრომს აგებენ. პარტიზანები თავს დაესხნენ გერმანელ მესანგრეებს, რომელნიც დასაშვებ მოედანს ამზადებდნენ. გერმანელები, რომელთაც ბრძოლაში მოუკლეს 20 ჯარისკაცი, გაიქცნენ. პარტიზანებმა მოსპეს 6 ავტომანქანა.

* * *

უკრაინის იმ რაიონების ტერიტორიაზე, რომლებიც ხელთ იგდეს გერმანელებმა, ფაშისტები თარეშს განაგრძობენ, ასობით და ათასობით საბჭოთა მოქალაქეს ხოცავენ, აუპატიურებენ ქალიშვილებს და ქალებს, სძარცვავენ მოსახლეობას. კიევის ოლქის კანევის რაიონის სოფელ სელიშჩში ფაშისტებმა თავი მოუყარეს ქალებისა და ქალიშვილების ჯგუფს, ტყეში წაიყვანეს და მხეცურად გააუპატიურეს. რჟიშჩევის რაიონის სოფელ გრივენიაში გერმანელებმა ამუჩად აიგდეს 60 წლის მოხუცი კოლმეურნე, აიძულეს იგი გაქცეულიყო და სროლა აუტეხეს. საბრალო მოხუცი ფაშისტებმა ორივე ფეხში დასჭრეს. კიროვოგრადისა და დნეპროპეტროვსკის ოლქების ოკუპირებულ რაიონებში გერმანიის სარდლობამ გამოაცხადა, რომ მთელი საკოლმეურნეო ქონება გერმანელებს ეკუთვნის და რომ გლეხები, რომელნიც ხელპყოფენ ამ ქონებას, დახვრეტილ იქნებიან. ფაშისტი არამზადების მხეცობის პასუხად ყოველდღე ასობით გლეხი შედის პარტიზანულ რაზმებში.

* * *

ბერძენ პარტიზანთა რაზმები სულ უფროდაუფრო აქტიურად მოქმედებენ. ამ ბოლო დროს ხშირად იკარგებიან იტალიელი ჯარისკაცები; გაზშირდა სურსათ-სანოვაგისა და ნედლეულის საწყობებისათვის ცეცხლის წაკიდება. 28 აგვისტოს პარტიზანებმა ჯარის ეშელონის დიდი კატასტროფა მოაწყეს. ლიანდაგიდან გადააგდეს იტალიელი ჯარისკაცებით სავსე 35 ვაგონი; ეშელონი თურქეთის საზღვრისაკენ მიდიოდა. კატასტროფის შედეგად მოკლული და ძნიმედ დაჭრილია 120-ზე მეტი ჯარისკაცი. მეორე კატასტროფა მოხდა 29 აგვისტოს. პარტიზანებმა ხრამში გადააგდეს მატარებლის დიდი შემადგენლობა, რომელსაც ხილი მიჰქონდა გერმანიაში. დაიმსხვრა 27 ვაგონი.

კუნძულ კორფუზე ბერძენმა პატრიოტებმა დასწვეს რამდენიმე საწარმო, სადაც იტალიაში გასაგზავნ ზეთისხილის ზეთს ამზადებდნენ. საბერძნეთის ერთერთ ნავსადგურში ხანძარი გაჩნდა იტალიის სატრანსპორტო გემზე, რომელსაც სხვადასხვა საქონლით ტვირთავდნენ იტალიისათვის. ცეცხლში დაიღუპა დიდძალი ზეთი და თამბაქო, რომელიც ფაშისტებმა რეკვიზიციის წესით ჩამოართვეს ბერძენ მოსახლეობას. იტალიელ ჟანდარმებს, რომელნიც ცეცხლის წაკიდებაში ეჭვმიტანით დაპატიმრებულ მცხოვრებთა ჯგუფს ახლდნენ, თავს დაესხნენ პარტიზანები. შეტაკების შედეგად მოკლულ იქნა 7 ჟანდარმი. პატიმრები პარტიზანებს შეუერთდნენ.

* * *

კოლმეურნე გლეხობა შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის აღებას შეუდგა. ხარკოვის ოლქის ლოზოვაიას რაიონის ლენინის სახელობისა და ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობები ხუთას-ხუთას ცენტნერ ჭარხალს იღებენ ჰექტარზე. კუპიანსკის რაიონში მუშურ-გლეხური მილიციის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის მერგოლურმა ამხ. ჩორნაიამ, 500-600 ცენტნერი მოსავალი აიღო ჰექტარზე. ასეთივე მოსავალი მოიწია კოლმეურნეობა „XVI-ლეტიე რკკა“-ში ამხ. გრიგორიევას რგოლმა. ჭარხლის უხვ მოსავალს იღებენ კურსკის ოლქის კოლმეურნეობები. ოქტომბრის XX წლისთავის სახელობის კოლმეურნეობაში ამხ. სტენკის რგოლი ჰექტარზე სულ ცოტა 700 ცენტნერს აიღებს. კურსკის ოლქის ბორისოვის რაიონის 25-ზე მეტი კოლმეურნეობა უკვე შეუდგა ჭარხლის მოსავლის აღებას. გრაიგორონის რაიონის ბუდიონის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელმა ქარხანაში მიიტანა პირველი რამდენიმე ათეული ცენტნერი ჭარხალი.

ჭარხლის უხვი მოსავალი მოიწიეს ყირგიზეთის კოლმეურნეებმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ამხ. კეინაზაროვას რგოლი, ფრუნზეს ოლქის კაგანოვიჩის რაიონის კალინინის სახელობის არტელის კოლმეურნე ქალები წელს ჰექტარზე საშუალოდ სულ ცოტა 850 ცენტნერს აიღებენ. კალინინის რაიონში ჰექტარზე 1.000 ცენტნერი ჭარხალი აიღო ამხ. კაიგაზიევას რგოლმა. ყირგიზეთის სს რესპუბლიკის კანტის რაიონმა მოსავლის აღების მარტო პირველ დღეს შაქრის ქარხანაში გაჰგზავნა ახალი მოსავლის 1.585 ცენტნერი ჭარხალი.

7 სექტემბრის საღამოს ცნობა

7 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეუპოვარ ბრძოლებს მტერთან მთელ ფრონტზე.

ჩვენი ავიაცია მასირებულად ესხმოდა თავს მტრის ჯარებს და იერიში მიჰქონდა მისი ავიაციის წინააღმდეგ აეროდრომებზე.

5 სექტემბრის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში და მტრის აეროდრომებზე მოსპობილ იქნა გერმანიის 23 თვითმფრინავი. ჩვენ 11 თვითმფრინავი დაკარგეთ.

ბარენცის ზღვაში ხელთ ვიგდეთ გერმანიის წყალქვეშა ნავი „უ-73“.

* * *

მტერთან მძაფრი ბრძოლების შემდეგ დასავლეთის მიმართულების ერთერთ უბანზე ქვედანაყოფმა, რომელსაც ამხ. მეტე მეთაურობს, შორს უკუაგდო ფაშისტთა ნაწილები. ქვედანაყოფმა დაიკავა 3 დასახლებული პუნქტი და 6 სიმაღლე. თოფის ჯგუფური ცეცხლით ქვედანაყოფის მებრძოლებმა ჩამოაგდეს მტრის 4 თვითმფრინავი. მოსპობილია ტყვიამფრქვევის 50 ბუდე, 7 ჯავშნიანი ავტომანქანა, 6 ტანკი, 17 ნაღმმტყორცნი და 15 ქვემეხი. მათგან 4 შორსმსროლელი. ფაშისტთა ნაწილებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაჰკარგეს არანაკლებ 1.500 ჯარისკაცისა და ოფიცრისა. სიმამაცისა და გმირობის მაგალითი გვიჩვენეს მებრძოლებმა უმცროს ლეიტენანტ კალმიკოვის მეთაურობით. ზურგიდან შემოუარეს რა მტერს, ისინი სწრაფი გადასვლით მივიდნენ სიმაგრეებამდე და ხელყუმბარებით მოსპეს იქ ჩამსხდარი ფაშისტები. წითელარმიელმა ნიკულინმა ნაღმმტყორცნის მარჯვე სროლით მოსპო ტყვიამფრქვევის 2 ბუდე და ერთი ჯავშნიანი ავტომანქანა.

* * *

უმცროს ლეიტენანტ შკრობალენკოს საარტილერიო ოცეული დახურული პოზიციებიდან აწარმოებდა თავისი ქვემეხების ინტენსიურ ცეცხლს. ოცეულის საცეცხლო პოზიციასთან მარჯვენა ფლანგიდან მისვლა სცადა გერმანელ ჯარისკაცთა დიდმა ჯგუფმა. ზარბაზნების ლულები დაუყოვნებლივ მიბრუნდნენ შეტევაზე გადმოსული მტრისაკენ. საბჭოთა ქვემეხების რამდენიმე გასროლის შემდეგ გერმანელები გაიქცნენ. მათ ბრძოლის ველზე დასტოვეს 27 მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცი, დაზგის ტყვიამფრქვევი, რამდენიმე ათეული შაშხანა და ავტომატი.

* * *

მოწინააღმდეგეს დიდ ზარალს აყენებს საბჭოთა სნაიპერების მარჯვე სროლა. ერთერთ ბრძოლაში სნაიპერმა ჩეტრაძემ მოსპო 15 ფაშისტი. სომარ მოქმედებათა დროს არა ერთი ათეული გერმანელი განუგმირავს სნაიპერ დალეევს. ბრძოლის მხოლოდ სამი დღის განმავლობაში ამხ. დალეევმა მოსპო 21 ფაშისტი, მათ შორის 2 ოფიცერი. სნაიპერმა ლუცკოვსკიმ თავისი შაშხანის მარჯვე სროლით ერთ ბრძოლაში მტრის 12 ჯარისკაცი დაჯვინა. უფროს ლეიტენანტ ანისიმოვის ქვედანაყოფში დიდი პატივისცემით სარგებლობენ წითელარმიელი სნაიპერები ევგალიშვილი და სავინოვი. 5 დღის განმავლობაში ორივე სნაიპერმა მოსპო 17 ფაშისტი მეავტომატე, მეთვალთვალე და მეტყვიამფრქვევე. დასავლეთის ფრონტის ერთერთ უბანზე სნაიპერებმა — უმცროსმა სერჟანტმა კოსტრიკოვმა და ეფრეიტორმა პეტუნინმა სექტემბრის 3 დღის განმავლობაში მოსპეს 30-ზე მეტი ფაშისტი. ჩვენი მებრძოლების მარჯვე ცეცხლმა გერმანელები აიძულა დაეტოვებინათ მიწის 2 ხანგრძლივი საცეცხლო წერტი. ომის დაწყების დღიდან კაპიტან როზანოვის ნაწილის საუკეთესო მსროლელებმა ჩამოაგდეს 2 თვითმფრინავი და ტანკების საჭვრეტ ხახვრეტებში მარჯვე სროლით მოსპეს საკმაოდ ბევრი ტანკისტი. მტერს მარჯვედ სპობს სერჟანტი სნაიპერი ლიახონინი. ამხ. ლიახონინი 7 სექტემბერს ღამით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ მთელ ფრონტზე.

* * *

ჩვენმა ცხენოსანმა ნაწილებმა ამხ. ბაკალეიჩის მეთაურობით ხანგრძლივი რეიდი მოახდინეს მტრის ზურგში. ლეიტენანტ სოკოლოვსკის ესკადრონი ტყეში წააწყდა გერმანელთა მოტორიზებული ქვეითი ჯარის ესკადრონს, რომელიც დასასვენებლად იყო დანანაკებული. ცხენოსნებმა უეცარი იერიშით უკუაგდეს ფაშისტები, გაანადგურეს გერმანელთა ბატალიონი, ხელთ იგდეს რადიოსადგური, მრავალი მოტოციკლი, ველოსიპედი და სურსათ-სანოვაგითა და საომარი მასალებით დატვირთული საბარგო მანქანები. ამ შემთხვევის შემდეგ გერმანელებმა საბჭოთა კავალერისტების წინააღმდეგ გამოიყვანეს მოტომექანიზებული ნაწილები და იუნკერთა ორი სასწავლებლისაგან შედგენილი რაზმი. კავალერისტები ცხენებიდან ჩამოხტნენ და ბრძოლა გაუმართეს მტერს. უფროსმა ლეიტენანტმა პოროხმა და პოლიტხელმა ორლოვმა სწრაფ იერიშზე წაიყვანეს თავიანთი მეომრები. ბრძოლა რვა საათს გაგრძელდა. ფაშისტებმა 300-მდე კაცი დაჰკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით. მოკლულთა შორის არის გერმანელი გენერალი. ერთერთ შემდგომ ბრძოლაში მამაცმა კავალერისტებმა მოსპეს მტრის მოტორიზებული ქვეითი ჯარის ბატალიონი და ხელთ იგდეს შტაბი. მთელი რეიდის განმავლობაში კავალერისტებმა მტერი აიძულეს საგრძნობი ძალები გაეყვანა ფრონტიდან, მოსპეს მრავალი ავტომანქანა, ჯავშნიანი მანქანები, ქვემეხები, საწვავი და საომარი მასალები, აიფეთქეს მთელი რიგი ხიდები. არასრული ცნობებით, ფაშისტებმა საბჭოთა კავალერისტებთან ბრძოლებში დაჰკარგეს 1.200-მდე კაცი მოკლულთა სახით და დაახლოებით 500 კაცი დაჭრილთა სახით.

* * *

ფრონტის დასავლეთის მიმართულებით მედგარ ბრძოლებში კაპიტან კოზულიას ბატალიონი 28 საათის განმავლობაში წარმატებით იგერიებდა მტრის დიდი ძალების ყველა იერიშს. მან დიდი ზარალი მიაყენა მტერს და მაშველი ჯარის მოსვლამდე შეინარჩუნა თავისი პოზიციები. საარტილერიო მომზადების შემდეგ მთვრალი გერმანელი ჯარისკაცები იერიშზე გადმოვიდნენ. როდესაც გერმანელები ძალიან ახლოს მოვიდნენ, ჩვენმა მსროლელებმა, მეტყვიამფრქვევეებმა და მენაღმმტყორცნეებმა ერთდროულად გააჩაღეს სროლა. მტერი უკუქცეულ იქნა. მეორე იერიშის დროს გერმანელთა ერთერთმა ბატალიონმა შესძლო პირველი ასეულის ბლინდაჟებსა და სანგრებზე გადმოსვლა. პირველი და მესამე ასეულების მეთაურებმა ამხ. შერემეტიევმა და ზუევმა იერიშზე გაიყვანეს თავიანთი მეომრები. მოკლულ იქნა მტრის 150-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 21 კაცი ტყვედ დაგვნებდა. გერმანელ მეავტომატეთა ჯგუფი, რომელიც ცდილობდა გარემოცვის შთაბეჭდილება შეექმნა, ზურგში შემოიჭრა და სროლა ატეხა. ზემდეგმა შორნიკოვმა რამდენიმე მარჯვე მსროლელებთან ერთად სწრაფად მოსპო ფაშისტი მეავტომატენი. ღამით გერმანელებმა სამჯერ მოიტანეს იერიში უშედეგოდ. ღამის ბრძოლაში უმცროს ლეიტენანტ სურკოვის ოცეულმა მძლავრი კონტრიერიშით უკუაქცია გერმანელთა მთელი ასეული და ტყვედ წამოიყვანა 12 ჯარისკაცი. გამანადგურებელ ლახვარს სცემდნენ მტერს არტილერისტები, მენაღმტყორცნენი და მეტყვიამფრქვევენი. კაპიტან კოზულიას ბატალიონთან ბრძოლაში გერმანელებმა დაჰკარგეს 600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 12 ქვემეხი, 7 ნაღმმტყორცნი და 11 ტყვიამფრქვევი.

* * *

ლეიტენანტ ტრუშკინისა და უმცროს ლეიტენანტ შევჩენკოს ბატარეებმა გაანადგურეს გერმანელთა ავტოკოლონა. პირველივე ბათქის შემდეგ გერმანელთა წინა მანქანები ჰაერში ავარდა; ფაშისტები აირივ-დაირივნენ გზაზე, ცდილობდნენ ტყეში შეეფარებინათ გადარჩენილი მანქანები. მაშინ უმცროსმა ლეიტენანტმა შევჩენკომ თავისი ბატარეის ქვემეხები ღია პოზიციაზე გამოაგორა და პირდაპირ დაუშინა ფაშისტთა კოლონას. არტილერიის ცეცხლით მოსპობილ იქნა მტრის 30 სატვირთო მანქანა, მსუბუქი მანქანა და 4 მოტოციკლი.

* * *

საბჭოთა ესტონეთის ქალაქების და სოფლების დაპყრობის შემდეგ გერმანელმა ფაშისტებმა ესტონელი ხალხის გაულტა დაიწყეს. გერმანელების მიერ ყოველი ქალაქის, დაბისა და დასახლებული პუნქტის ოკუპაციას ყველგან თან სდევდა ძარცვა, ძალადობა და მასობრივი მკვლელობა. რაველას თემის მცხოვრები ალექსანდრე კელგუმაე, რომელიც ფაშისტური ჯოჯოხეთიდან გამოიქცა, მოგვითხრობს: „მე დაბა ლიხულამი ვიყავი, როდესაც ფაშისტებმა დაიკავეს იგი. პირველსავე დღეს ჯალათებმა სიკვდილით დასაჯეს ათობით სრულიად უდანაშაულო ადამიანები. დაბრეტელთა შორის იყო 13 ჭაბუკი და მოზარდი ქალიშვილი“.

ქალაქ ტარტუს კომუნალური მეურნეობის მუშაკმა ამხ. ა. იანსენმა განაცხადა: „ქალაქის პარკში გერმანელ მოიერიშეთა ჯგუფმა გააჩერა ჩემი მეზობლის 11 წლის ვაჟი კარლ ვესკე. როდესაც ფაშისტებმა შენიშნეს, რომ ბავშვს წითელი ყელსახვევი აქვს, ხელი სტაცეს პიონერს და მაღალ წაბლის ხესთან მიათრიეს. ერთერთმა ბანდიტმა თოკი მოიტანა. სადისტური გულგრილობით გააკეთეს მათ მარყუჟი, ჩამოაცვეს ბავშვს, რომელიც ხეზედ ჩამოჰკიდეს. გვამი ორ დღეს ეკიდა პარკში. მშობლებს ნება არ მისცეს დაესაფლავებინათ ბავშვი“.

გერმანელმა ჯარისკაცმა ფრანც ჰოფმანმა, რომელიც ნებაყოფლობით დაგვნებდა, განაცხადა: „ესტონეთის ერთ პატარა სოფელში საშინელი სცენის მოწმე გავხდი. მთვრალ ჯარისკაცთა ჯგუფი ფელდფებელის მეთაურობით შეიჭრა გლეხ კიასპერტის სახლში. შინ იყვნენ 70 წლის გლეხი და მისი ცოლი 2 პატარა შვილიშვილითურთ. ფელდფებელმა გოჭი და ქათმები მოითხოვა. მოხუცმა უპასუხა გოჭი არა მყავს, ქათმები კი ჯარისკაცებმა უკვე წაიყვანესო. გაცოფებულმა ჰიტლერელმა უბრძანა ხიშტით მოეკლათ მოხუცი. შემდეგ ჯარისკაცებმა დახოცეს ყველანი— მოხუცი ქალი და ბავშვები“.

ფაშისტები აშკარად იკვეხიან, ყოველივე ესტონურს აღმოვფხვრით, აღვგვით პირისაგან მიწისაო.

* * *

იტალიის ყველა დიდ ცენტრში —რომში, მილანში, ტურინში, გენუაში და მრავალ სოფელში ხელიდან ხელში გადადის ათასობით ანტიფაშისტური ფურცელი. თავიანთ ფურცლებში იტალიელი პატრიოტები მოითხოვენ საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტას., იტალიის არმიების გამოწვევას აღმოსავლეთის ფრონტიდან, გერმანიის ჯარის განდევნას იტალიიდან და გერმანიაში სურსათ-სანოვაგის გაზიდვის შეწყვეტას. ფურცლებს ჰყრიან ქუჩებში, აკრავენ კედლებსა და ღობეებზე. გენუაში დახვრიტეს ფურცლების რამდენიმე გამავრცელებელი.

* * *

ნორვეგიელმა პატრიოტებმა ჰიულჰაგენში დრამენის მახლობლად ააფეთქეს დენთის ქარხანა. მოსპობილია ათობით ტონა ფეთქებადი ნივთიერება. ქარხანა დანგრეულია.

* * *

საბჭოთა ხალხი წარმატებით ამზადებს მძლავრ რეზერვებს წითელი არმიისათვის.

ლენინგრადში ლენინგრადის საქალაქო მილიციის სერჟანტმა ვ. პეტროვმა და მილიციელმა ამხ. იზდონმა თავიანთ უბნებში მოსახლეობისაგან შეადგინეს მოხალისეთა მებრძოლი რაზმები. ყოველ ქვედახაყოფს ჰყავს მსროლელნი, ხელყუმბარისმტყორცნელნი, მეტყვიამფრქვევეთა გუნდი და სანიტარები. ამხ. იზდონმა უკვე მოამზადა 52 მეომარი და ახლა კიდევ 68 ამზადებს. ქალაქ სტალინის მშრომელნი მეცადინეობენ ტანკების გამახადგურებელთა ჯგუფებში, სწავლობენ საპარაშუტო საქმეს. რამდენიმე ასეული ქალიშვილი ტელეგრაფისტ და ტელეფონისტ ქალთა კურსებზე სწავლობს. ქალ. ყაზანის ბაუმანის რაიონის 300-ზე მეტი თავდაცვა-ავიაქიმელი შეუდგა სამხედრო-ტაქტიკურ ვარჯიშობას ადგილობრივ პირობებში. ამ ცოტა ხნის წინათ სოფელ ტროიცკოეს [illegible] ლად მოეწყო მეცადინეობა თემაზე —მტრის საჰაერო დესანტის განადგურება. ამ მეცადინეობის დროს თავდაცვაავიაქიმელებმა გვიჩვენეს ოსტატურად შენიღბვის, სასროლო იარაღით სარგებლობისა და დაზვერვის წარმოების უნარი. იაროსლავლის ყველა რაიონში შემქმნილი პარაშუტისტ - მსროლელთა ჯგუფები, საიპერთა, მეტყვიამფრქვევეთა, რადისტთა, ხელყუმბარისმტყორცნელთა წრეები წარმატებით ეუფლება სამხედრო საქმეს კოლმეურნე ახალგაზრდობა. ჩელიაბინსკის ოლქის კამენსკის რაიონის სოფელ ტრავიანიკის ჭაბუკები ყოველდღე სწავლობენ მწყობრში სიარულს, შაშხანის ხმარებას, ხელყუმბარის ტყორცნას. ქალიშვილები სანიტარულ რაზმებში მეცადინეობენ. ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის რეგარის რაიონის ახალგაზრდა კოლმეურნეებმა მოაწყეს ვოროშილოვისებურ ცხენოსანთა ჯგუფი და ეუფლებიან ცხენოსნობის ტექნიკას, სწავლობენ ხმლის ხმარებას. ერევანში კიროვის სახელობის კომბინატის, რკინიგზის კვანძისა და კარაქცხიმკომბინატის ათასობით მუშა სწავლობს თავდაცვა-ავიაქიმის ქვედანაყოფებში შაშხანას, ტყვიამფრქვევს, ხელყუმბარას, იძენს ხიშტით ბრძოლისა და ხელყუმბარის ტყორცნის პრაქტიკულ ჩვევებს.

8 სექტემბრის საღამოს ცნობა

8 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ მტერთან ბრძოლას მთელ ფრონტზე.

სმოლენსკის მიმართულებით ქ. სმოლენსკთან მდებარე ქალაქ ელნიასთვის 26 დღის განმავლობაში წარმოებული ბრძოლები დამთავრდა მტრის „სს“ დივიზიის, მე-15 ქვეითი დივიზიის, მე-17 მოტოდივიზიის, მე-10 სატანკო დივიზიის, მე-137 ავსტრიის ქვეითი დივიზიის, მე-178, მე-292 და მე-268 ქვეითი დივიზიების განადგურებით. მოწინააღმდეგის დივიზიების ნაშთები სწრაფად იხევენ უკან დასავლეთის მიმართულებით.

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ელნია.

ჩვენი ავიაცია განაგრძობდა იერიშებს მტრის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლის ველზე და სპობდა ავიაციას მის აეროდრომებზე.

7 სექტემბერს, ღამით ჩვენმა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ბუქარესტს. ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა. 6 სექტემბრის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში და მტრის აეროდრომებზე მოსპობილ იქნა გერმანიის 62 თვითმფრინავი. ჩვენ 33 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

ავტო-ბატალიონის მეთაურს, უფროს ლეიტენანტ ლავროვს დაზვერვამ აცნობა, რომ მეზობელ სოფელში იმყოფება გერმანელთა დიდი რაზმი არტილერიითა და ტანკებით. კაპიტან უშაკოვის საარტილერიო დივიზიონის დახმარებით ავტო-ბატალიონის მებრძოლები მიუახლოვდნენ გერმანელთა პოზიციებს და ფაშისტების წინააღმდეგ იერიში მიიტანეს. გერმანელებმა ტყვიამფრქვევისა და არტილერიის ცეცხლის გამოყენებით სოფლიდან უკან დაიხიეს. ჩვენი ჯარები მტრს შესაძლებლობას არ აძლევდნენ მდგომარეობა გამოესწორებინათ და სამეელად მოსულ ხუთ ტანკთან ერთად ახალი ძალით განაგრძობდნენ იერიშს და სდევნიდნენ მტერს. გერმანელებმა ამ ბრძოლაში დაკარგეს დაახლოებით ორი ასეული. ჩვენ ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 4 მძიმე და 2 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 2 ტანკი, 40 მოტოციკლი, რამდენიმე ავტომანქანა და ნაღმმტყორცნი. ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პირველი რანგის სამხედრო ტექნიკოსმა ამხ. სუხანოვსკიმ და წითელარმიელმა კირიჩენკომ.

* * *

ლენინგრადის ოლქში პარტიზანულმა რაზმებმა ინტენსიური საბრძოლო ოპერაციები გააჩაღეს და დაუნდობლად ურტყამენ ჰიტლერელ ოკუპანტებს. არასრული ცნობებით, აგვისტოს მეორე ნახევარში ლუგის რაიონში პარტიზანებმა მოსპეს 800-ზე მეტი ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი, მწყობრიდან გამოიყვანეს 14 ტანკი და 7 ჯავშნიანი ავტომანქანა, 17 ქვემეხი, 22 ტყვიამფრქვევი, მოსპეს 47 სატვირთო ავტომანქანა, 62 მოტოციკლი, დაწვეს საწვავით სავსე 18 ავტოცისტერნი და ხელთ იგდეს დიდძალი სომარი მასალა, საჭურველი, სასანგრე ინვენტარი და სურსათი.

პარტიზანები ლახვარს სცემენ იქ, სადაც ამას ყველაზე ნაკლებად მოელიან ფაშისტები. 29 აგვისტოს დღისით, ბოლშიე პოროშკევიჩის მახლობლად გზატკეცილზე მიწათმომწყობ ამხ. უ-ს რაზმმა მოსპო გერმანელთა 30 მოტოციკლისტი. პარტიზანები მათ ჩაუსაფრდნენ პატარა მინდორზე გზის პირად. როდესაც გერმანელი მოტოციკლისტები მოახლოვდნენ, პარტიზანებმა მინდორზე რამდენიმე გოჭი და ქათამი გაუშვეს. გერმანელმა ჯარისკაცებმა მიატოვეს მოტოციკლები და ნადავლს გამოუდგნენ. პარტიზანები რამდენიმე ბათქის შემდეგ მეკვეთნენ ფაშისტებს და მოსპეს ისინი.

ტოლმაჩევის მახლობლად პარტიზანული რაზმი ამხ. ნ-ს მეთაურობით მიეპარა გერმანელთა ტანკების სადგომს. პარტიზანებმა უხმაუროდ დახოცეს გუშაგები. მოსპეს მძინარე ტანკისტები, ააფეთქეს 2 საშუალო და 3 მსუბუქი ტანკი და ტყვეში წაიყვანეს ერთი მსუბუქი მანქანა.

პარტიზანულმა რაზმმა ვეტერინარი ექიმის ამხ. ფ-ს მეთაურობით დანაღმა ხიდი მდინარეიაშჩერაზე დოლგოვკის მახლობლად. ხიდთან ერთად აფეთქდა ნაღმებით დატვირთული გერმანელთა ავტომანქანა. პარტიზანებმა დახოცეს ფაშისტები, რომლებიც სხვა მანქანებსა და ავტოკოლონებს ახლდნენ, და მოსპეს ჭურვებით სავსე 72 ყუთი და ხელთ იგდეს ხელყუმბარებით სავსე 114 ყუთი.

* * *

ჰიტლერელთა ხროვა უშედეგოდ ცდილობს დაუმალოს გერმანელ ხალხს სიმართლე იმ უდიდესი დანაკლისის შესახებ, რაც გერმანელ ფაშისტთა ჯარებს აღმოსავლეთის ფრონტზე მოსდით. ტყვეთა ჩვენებიდან და იმ წერილებიდან, რომლებიც მათ აღმოაჩნდათ, სჩანს, რომ გერმანელი ხალხის ფართო ფენებს აღარ სჯერათ ფაშისტური პრესისა და რადიოს ლაყბობა. ეფრეიტორმა ჰანს ბეიერმა ჰამბურგიდან მიიღო წერილი დაჭრილი ძმისაგან. ფრიც ბეიერი სწერს: „უკვე სამი კვირაა სამხედრო ლაზარეთში ვწევარ. შემდეგი ტრანსპორტით ალბათ სხვა ლაზარეთში წავალ. აქ ტევა აღარ არის, ყოველდღე მოდის ახალ-ახალი ტრანსპორტები დაჭრილებით“. გერმანიის მე-290 ქვეითი დივიზიის მე-502 პოლკის მე-9 ასეულის ეფრეიტორი გოტე, რომელიც ტყვედ ჩაგვივარდა, ამბობს: „ჩვენმა ასეულმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაკარგა 70 კაცი, მაგრამ იგი უფრო ნაკლებად დაზარალდა, ვიდრე სხვა ასეულები. მე-6 და მე-8 ასეულებში დარჩა 15-20 ჯარისკაცი თვითეულში“. მე-503 ქვეითი პოლკის მე-5 ასეულის ეფრეიტორმა პეტერ გარტნერმა დაკითხვისას აჩვენა: „ჩვენმა ასეულმა პირველსავე ბრძოლებში დაკარგა თავისი შემადგენლობის 50 პროცენტი, ხოლო 14 აგვისტოს მოსპობილ იქნა ასეულის ნაშთები. იგივე შეიძლება ითქვას მთელი ბატალიონის შესახებ“. ეფრეიტორმა პაულ ბრედელმა გვიამბო: „უკანასკნელ ბრძოლებში ჩემი ბევრი ამხანაგი დაიღუპა. ჩვ

სამამულო ომის გმირები

მაიორების ვ. ხუბულურის და ა. ინაურის წერილები

გორი („კომუნისტის“ კორ.). საღამო რომ დგება, გულკეთილი მეზობელი პელაგო საგინაშვილი ეკატერინე ხუბულურთან მიდის. ისინი საუბრობენ ომზე. ეკატერინე უჯრიდან იღებს თავისი შვილის, ორდენოსანი მაიორის ვალოდია ხუბულურის წერილებსა და სურათს. დედა დასცქერის ვალოდიას სურათს, როშელიც მან ფრონტიდან გამოგზავნა; პელაგო კვლავ და კვლავ კითხულობს ვალოდიას წერილს.

მაიორი ვ. ხუბულური სათვალთვალო პუნქტზე.

იმ საღამოსაც, როდესაც ხუბულურის ბინას მივაგენით, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე № 47 სახლში ერთად იყვნენ ეკატერინე და პელაგო. მხიარულ საუბარში ეკატერინემ გვიამბო შემდეგი:

ვალოდია იბრძოდა მდინარე ხალხინგოლთან, იბრძოდა თეთრფინელების წინააღმდეგაც, რაზედაც დაჯილდოვეს „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით. უფრო ადრე ვალოდია დაჯილდოვებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავთან დაკავშირებით. ახლა სამამულო ომში მონაწილეობს. ვალოდია დაიბადა 1907 წელს. საშუალო სასწავლებელი გორში დაამთავრა ალექსი ინაურთან ერთად. ვალოდია და ალექსი ინაური მეგობრები არიან. ვალოდია ისე, როგორც ალექსი ინაური, ვაჟკაცურად იბრძვის. აი მისი წერილები. მე წავიკითხავ:

„...მე არ შეგარცხვენთ არასოდეს. ყოველთვის ვიქნები მოვალეობის შემსრულებელი. სისხლისმსმელი ჰიტლერი განადგურებული იქნება წითელი არმიის მიერ. ჩვენი სამშობლოს კედელს ვერავინ ვერ გაარღვევს, რადგან ჩვენ სტალინე გვხელმძღვანელობს. მე კარგად ვარ. ვხედავ, როგორ სპობენ ჩვენი წითელარმიელები ფაშისტებს. ამ წერილს ვწერ ადრე დილით. დარდი ნუ გექნებათ. ჰიტლერიზმი მოისპობა ძირფესვიანად. მარად თქვენი ვალოდია. 6 ივლისი“.

ეკატერინე კითხულობს მეორე წერილს, რომელიც 7 აგვისტოს არის გამოგზავნილი: „კარგად ვარ, ძლიერ კარგად. ჰიტლერის დღეები ილევა. მას მალე დავასამარებთ. დაეხმარეთ რითაც კი შეგიძლიათ, ჩვენს მებრძოლებს და ჩვენს მთავრობას. თქვენი ვალოდია“.

ასეთია ვალოდიას განწყობილება. ის მტერზე გაიმარჯვებს. დამავალეთ და მისწერეთ, რომ მისი ცოლისძმა ლევან რამიშვილი, სიძეები — სიმონ ნატროშვილი და სევერიან ჭიპაშვილი სამამულო ომში არიან. ჩვენ კარგად ვართ. ზურგში ყველაფერს გავაკეთებთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, — სთქვა ეკატერინემ.

მაიორ ალექსი ინაურის მამამ, პენსიონერმა, 63 წლის ნიკოლოზ ინაურმა უდიდესი სიხარული იგრძნო, როცა გაზეთ „კომუნისტში“ წაიკითხა „იზვესტიას“ სპეციალური კორესპონდენტების ი. ოსიპოვის და კ. ტარადანკინის წერილი მომქმედი არმიიდან — „მაიორ ინაურის პოლკი“.

სიხარული იგრძნო მთელმა ოჯახმა, მეზობლებმა, რომლებმაც შეიტყეს, თუ რა ვაჟკაცურად ანადგურებენ სისხლმოწყურებულ ფაშისტებს მაიორ ინაურის პოლკის მებრძოლები და მეთაურები. სასტიკი და ულმობელი ბრძოლის ცეცხლში მყოფი მაიორი ინაური მოკლე, გულთბილ და რწმენით სავსე წერილებს გზავნის შინ. აი სტრიქონები იმ წერილებიდან:

„სალამი მშობლებს. ვიცი ჩემი ჯავრი გაქვთ. ჩემზე ნუ დარდობთ. მე ძალიან კარგად ვარ. საქმე კარგად მიდის. მტერი ნადგურდება. მინდოდა ჩემი სურათი გამომეგზავნა, მაგრამ ლეგიონში ის გაზეთი, რომელშიაც ჩემი სურათი იყო, გაჰქრა. ალბათ წითელარმიელებმა გაგზავნეს თავიანთ სახლებში“.

„სალამი მშობლებს. ალბათ გაზეთებში კითხულობთ, თუ როგორ არის ჩვენი საქმე. ჩვენ მალე გავიმარჯვებთ“.

„გულწრფელი სალამი ყველას. მართალია, 22 ივნისიდან ბრძოლაში ვარ, მაგრამ თავს მედგრად ვგრძნობ. ფაშისტებს ცუდ დღეს ვაყრით. ძლიერ კარგად ვარ. ჩემზე ნუ იდარდებთ“.

მაიორი ა. ინაური

მაიორ ინაურის მშობლები, ცოლი, და-ძმა არ დარდობენ. მათ მტკიცედ სწამთ, რომ ის გაიმარჯვებს სისხლიან და ვერაგ მტერზე.

ნიკოლოზ და სოფიო ინაურები მაიორ ინაურს სწერენ:

„შვილო ალექსი. გისურვებთ ყოველ სიკეთეს და შავბნელ მტერზე გამარჯვებას. ახლა შენ უკვე მამა ხარ ბუთხუზა ვაჟისა, რომელიც ერთი თვისაა. შენ ჯერ ის არ გინახავს; ჩვენ გვჯერა, რომ გამარჯვებული დაგვიბრუნდები. ყველანი კარგად ვართ. სიყვარულით გკოცნით მშობლები სოფიო და ნიკოლოზი“.

ს. ყურაშვილი

ორგზის ორდენოსან პოლკოვნიკის კ. ნ. ლესელიძის ოჯახში

მახარაძე („კომუნისტის“ კორ.). კვლავ სასიხარულო ამბავმა მოიცვა მახარაძის რაიონის სოფ. ხვარბეთის კოლმეურნეობის წევრის ნიკოლოზ ლესელიძის ოჯახი. მისი შვილი პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით.

ამ ამბავმა გაახარა არა მარტო ნიკოლოზის ოჯახი. მთელი სოფელი ამაყობს იმით, რომ მათი გაზრდილი კოტე დიდი სამამულო ომის სახელოვანი მებრძოლია და თავისი ქვემეხებით მუსრს ავლებს ფაშისტ ყაჩაღებს.

პოლკოვნიკი კონსტანტინე (კოტე) ნიკოლოზის-ძე ლესელიძე დაიბადა 1903 წელს, სოფ. ოზურგეთში; ღარიბი გლეხის ოჯახში. „აი, ბაბუა, — მიმითითა დიდი ოდის გვერდით მდგომ ქოხზე მოხუცმა ნიკომ, — ამ ქოხში გავატარე ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი. აქ დავზარდე ჩემი ოთხი ვაჟკაცი—დავით, კოტე, ბიკენტი, ვალერიან და მათი და აგრაფინა. სიღარიბეში გამოვზარდე ისინი. ხოლო იმას კი ვფიქრობდი, რომ როგორმე წერა-კითხვა მესწავლებინა მათთვის. ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ჩემს საწადელს მაინც მივაღწიე. კოტემ ოთხკლასიანი სკოლა დაამთავრა ოზურგეთში. მეტი საშუალება აღარ მქონდა. მაგრამ სწავლას მოწყურებული კოტე დაეწაფა წიგნებს და, 17 წლის რომ შეიქნა, სამხედრო სკოლაში შევიდა. იგი გაიზარდა და დავაჟკაცდა საბჭოთა სამხედრო სამეთაურო სკოლაში. ახლა იგი თავისი სამშობლოს წინაშე იხდის წმინდა ვალს, იცავს მას ვერაგი მტრისაგან და მიხარია, რომ საბჭოთა ქვეყნის სახელოვან და ვაჟკაც დამცველთა შორის მისი სახელიც გაისმის“.

პოლკოვნიკი კ. ნ. ლესელიძე

სახელოვანი პოლკოვნიკი კ. ნ. ლესელიძე უფრო ადრე დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავთან დაკავშირებით.

პოლკოვნიკი კ. ნ. ლესელიძე თავდადებული მებრძოლია, მოსიყვარულე შვილი, მამა და მეუღლე. იგი, როგორც კი დროს იშოვის, მოკლე, მაგრამ გულთბილ, სიყვარულით აღსავსე წერილებს სწერს ფრონტიდან თავის შშობლებს, თავის ოჯახს.

ცოლისადმი თბილისში მოწერილ ერთერთ წერილში კ. ლესელიძე სწერს:

„ძვირფასო ნინო!... 25 დღეა ბრძოლაში ვართ. წმინდა ვალი სამშობლოს წინაშე ყველაფერზე მაღლა სდგას. სამშობლოსათვის, სტალინისათვის არ დავიშურებ ჩემს სიცოცხლეს.

მე კარგად ვარ. მკლავი და თვალი კარგად მიჭრის. მტერს არ გავახარებთ.

იყავი კარგად. აბა შენ იცი, როგორ მოუვლი ბავშვებს — ოთარსა და იზოლდას. შენი კოტე“.

მშობლებს ნიკოსა და კელვასის პოლკოვნიკი კ. ნ. ლესელიძე ერთ-ერთ წერილში სწერს შემდეგს:

„ჩემო საყვარელო მშობლებო! იცით, ჩემო კარგებო, რომ მე ვიბრძვი სახელოვან წითელ მებრძოლებთან ერთად გამხეცებული მტრის — ფაშისტების წინააღმდეგ. ერთერთ ბრძოლაში ჩემმა მებრძოლებმა ქვემეხის მძლავრი ცეცხლით გაარღვიეს მტრის რკალი. ჩვენს მიწა-წყალზე მტერი ვერ გაიხარებს.

იყავით კარგად. თქვენი შვილი კოტე“.

გარდა კ. ნ. ლესელიძისა წითელ არმიაშია კიდევ სამი ძმა. დავით და ბიკენტი კაპიტნები არიან, ვალერიანი კი — უმცროსი მეთაური. ოთხი ვაჟკაცი მისცეს სამშობლოს ნიკოლოზ და კელვასი ლესელიძეებმა. თვითონ უკვე ღრმად მოხუცებულნი არიან. მიუხედავად ამისა, შეძლებისდაგვარად იხდიან ვალს სამშობლოს წინაშე. „ჩაი მაქვს ეზოში. უკვე 40 კილოგრამი ჩავბარე ჩაის ფაბრიკას“, — ამბობს კელვასი.

ეს მოხუცები სიხარულით ვაჯიმოეხმაურნენ მოსკოვის ოლქის მშრომელთა მოწოდებას თავდაცვის სახალხო ფონდის შექმნის შესახებ. ნიკოლოზმა თავდაცვის სახალხო ფონდში შეიტანა 100 მანეთი ფულად და ობლიგაციები, ხოლო კელვასი ხელთათმანებსა და წინდებს ჰქსოვს წითელარმიელთა საჩუქრებისათვის.

— მინდა, — ამბობს მოხუცი ნიკოლოზი, გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით მოვუწოდო ყველა მოხუც ქალსა და კაცს შეძლებისდაგვარად იმუშაონ კოლმეურნეობაში, რათა რაც შეიძლება მეტი დოვლათი მივცეთ ჩვენს გმირ მებრძოლებს ამ დიდ სამამულო ომში მუხანათ მტერზე საბოლოოდ გამარჯვებისათვის.

ვალ. მეძვაბიშვილი

სოფ. ხვარბეთი, 1941 წ. 7 სექტემბერი.

ერთი სამის წინააღმდეგ

მომქმედი არმია, 6 სექტემბერი (საკდესი). №-ის აეროდრომი გაიფრთხილეს — ფრონტის ხაზზე მტრის თვითმფრინავები გადმოფრინდნენო. დაუპატიჟებელი სტუმრების შეგებება დაავალეს უმცროს ლეიტენანტ ბორისოვს. როცა აფრინდა, მფინავმა დაინახა სამი „იუნკერსი“.

საბჭოთა მფრინავმა ყურადღება არ მიაქცია მოწინააღმდეგის სიჭარბეს, სწრაფად მოექცა უკნიდან მტრის ერთერთ ყუმბარმშენს და ხელი დააჭირა ტყვიამფრქვევის ჩახმახს. ფაშისტთა მანქანის მარჯვენა მოტორმა კვამლი ამოუშვა. მტერი მოწყვეტით წავიდა დაბლისაკენ დიდი დაგვერდებით. მტის დანარჩენმა ორმა მანქანამ ძმაფრი ცეცხლი დაუშინა ბორისოვის თვითმფრინავს. სასკოლმმა ტყვიამ პარაშუტი გახვრიტა, საშუმხუნე აფეთქდა, მაგრამ ბორისოვი, უმაღლესი პილოტაჟის რაინდმე ფიგურის გაკეთებით, უკან მოექცა მეორე ყუმბარმშენს და ტყვიის ცეცხლში გაჰხვია იგი. ხუთი წყების დაცლის შემდეგ ყუმბარმშენი აკვამლდა და ჩაშავდა. მესამე ყუმბარმშენმა, როცა მამაცი საბჭოთა მფრინავის იერიშის შედეგი დაინახა, ორთაბრძოლას თავი აარიდა და მოჰკურცხლა. ბორისოვს საწვავი გაუთავდა, მაგრამ მაინც მშვიდობით მიფრინდა თავის აეროდრომზე.

გმირი მეგყვინამფრქვევე

მომქმედი არმია (საკდესი). მტერი გააფთრებით უტევდა ჩვენს პოზიციებს. ფაშისტების შემოტევას მამაცურად იგერიებდა მეტყვინამფრქვევე დუბინა, რომელიც განუწყვეტლივ აყრიდა თეთრფინელებს ტყვიას. მტერმა აღმოაჩინა დუბინას ტყვიამფრქვევის ბუდე და გადასწყვიტა ნაღმტყორცნის ცეცხლით გაენადგურებინა იგი. ერთმა ნაღმმა, რომელიც მეტყვინამფრქვევის ახლოს გასკდა, თავის კონტუზია მიაყენა და ფეხებში დასჭრა იგი. დუბინამ რამდენიმე წამით დაჰკარგა გრძნობა. როდესაც გონს მოვიდა, მან რამდენიმე მეტრზე დაინახა ჯარისკაცი, რომელიც მისკენ მორბოდა.

მეტყვინამფრქვევემ კვლავ მიჰმართა თავის „მაქსიმს“ და პირველივე წყებით მიწაზე მიაწვინა თეთრფინელი. ჯარისკაცთა ჯგუფი, რომელიც მას მოპყვებოდა, გაწვა და ქვებს მოეფარა.

მამაცმა მეომარმა შენიშნა, რომ მის ტყვიამფრქვევს გახვრეტილი აქვს გარსაცმი. დუბინა არ დაიბნა, პურით დაუცო გახვრეტილი ადგილი და ფეხიდან მოხსნილი გრაგნილი შემოახვია. როგორც კი თავს წამოჰყოფდნენ თეთრფინელები, გმირი მეტყვინამფრქვევე გამანადგურებელ სროლას აუტეხდა მას.

დუბინამ გაბედულად მოიგერია მტრის იერიში და მხოლოდ ბრძოლის დამთავრების შემდეგ წავიდა სანიტარულ ნაწილში.

მემანქანის ამხ. გოლოვაჩის გმირობა

ერთერთი ფრონტისპირა რკინიგზის ს-ის კვანძი იდგნენ მატარებლები მნიშვნელოვანი ტვირთით. მტრის ავიაცია და არტილერია ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალა ამ მატარებლების გამოყვანისათვის კვანძიდან. კვანძის მახლობელ გადასარბენს ინტენსიურად უშენდნენ თვითმფრინავებიდან, მდინარის ხიდი დაზიანებული იყო და ამ ხიდზე გასვლა სულ ბევრი 15 კილომეტრის სიჩქარით შეიძლებოდა.

ამ დრო, სადგურზე მყოფმა მემანქანემ ამხ. გოლოვაჩმა აკისრა თავდაცვითი ტვირთით დატვირთული ყველა მატარებლის გამოყვანა. სროლის მიუხედავად, გულადმა მემანქანემ 50 კილომეტრის სიჩქარით გააქროლა მატარებელი ხიდზე. მტრის არტილერია ორთქლმავალს უშენდა, მაგრამ ნიშანში ვერ მოახვედრა.

ამხ. გოლოვაჩი და მისი ბრიგადა — მემანქანის თანაშემწე ამხ. მატვიენკო და ცეცხლფარეში ამხ. ნევიდომსკაია — სამ დღეს განუწყვეტელ ცეცხლში აგროვებდნენ ტვირთს, ადგენდნენ მატარებლებს და თავისი ორთქლმავლით გამოჰყავდათ ისინი კვანძიდან. ბრიგადის გმირულმა თავდადებულმა მუშაობამ ძვირფასი სამხედრო ტვირთი გადაარჩინა და უზრუნველჰყო მისი დროული ჩატანა დანიშნულების სადგურში. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის გმირი კაპიტანი ხიგრინი

გერმანელთა მძიმე ტანკების კოლონა გზატკეცილზე მოდიოდა. მოჩხარუნე მუხლუხების თვითეულ შემობრუნებას თან ახლდა ტყვიამფრქვევის სროლა. ფაშისტები ტყვიას უშენდნენ ტყესა და ახლომდებარე ბუჩქნარს. ისროდნენ ბრმად, გააფთრებით ურტყამდნენ უხლავ მტერს.

გერმანელთა სატანკო ჯგუფის გამოჭრა სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ჩვენს საცეცხლო პოზიციებს. რადაც არ უნდა დამჯდარიყო, აუცილებელი იყო ტანკების წინსვლის შეჩერება.

ნაწილის მეთაურმა მაიორმა სობკალოვმა მიიღო გადაწყვეტილება: მოიხსნას საცეცხლო პოზიციიდან ერთი შორსმსროლელი ქვემეხი მტრის ტანკების მოსაგერიებლად პირდაპირი დამიზნებით. ამ ოპერაციის ხელმძღვანელობა დივიზიონის მეთაურს კაპიტან ხიგრინს დაევალა.

* * *

მოღუშული ცა დაჰყურებდა ედამიწას. ღრუბლები ტყის თავზე ისე ჩამოწოლილიყვნენ, რომ თითქმის ხეების წვეროებს ედებოდნენ. ქარიშხალი ახლოვდებოდა. ქვემეხების ქუხილი და ჭურვების სკდომის ხმა ჰქონა-ქუხილს უერთდებოდა; ქვემეხების ცეცხლი ელვის ნაკვესებში ინთქმებოდა.

კაპიტანი ხიგრინი დურბინდით ხელში იდგა და გზატკეცილს ყურადღებით ათვალიერებდა. აგერ სადაც არის გორაკს იქიდან ტანკები გამოჩნდებიან. ხიგრინი მობრუნდა და მემიზნეს მიმართა:

— ამხანაგო ბახაროვ, ქვემეხი მზად არის ბრძოლისათვის?

— დიაღ, ამხანაგო კაპიტანო. ველი თქვენს ბრძანებას.

კაპიტანი მიუახლოვდა, შეამოწმა სამიზნო. პანორამის ჯვარედინში გორაკზე მარჯვენა ფერდობი მოსჩანდა.

— კარგი. ელოდეთ ბრძანებას, — სთქვა კაპიტანმა და სასწრაფოდ დაბრუნდა თავის ადგილზე.

გვერდით მოისმა მოტორების გუგუნი, რომელსაც ხმაური და გრიალი ჰფარავდა. ასტყდა ტყვიამფრქვევეთა სროლა, ტყვიებმა წივილით ჩაიარეს იქვე ახლოს. გასკდა ჭურვი, ნამსხვრევებმა ზუზუნით გადაუარეს თავზე კაპიტანს.

კაპიტანი კვლავ თავის ადგილას იდგა და დურბინდს თვალიდან არ იშორებდა.

ამ დროს მარჯვნივ, გორაკის წინ გამოჩნდა გერმანელთა ტანკი.

— ცეცხლი ფაშისტურ ქვეწარმავალს! — გასცა ბრძანება კაპიტანმა.

დაიქუხა ქვემეხმა. ჰაერის ძლიერი ტალღა კაპიტანს სახეში ეტაკა. ჭურვი ტანკს მოხვდა. ავარდა სქელი შავი ბოლის სვეტი.

ფაშისტებმა გააძლიერეს ტყვიამფრქვევების ცეცხლი. გორაკის იქიდან სროლა ასტეხა ქვემეხმა. გორაკს სხვა ტანკები უახლოვდებოდნენ:

— ცეცხლი! — გაიმეორა კაპიტანმა.

ჭურვი გზატკეცილზე გასკდა. ტანკი ნერვიულად შეირხა და ადგილზე გაირინდა.

— ჩქარი ცეცხლი კოლონის წინაღმდეგ!

ზედიზედ დაიქუხა ქვემეხმა. ტანკებმა გააფთრებით დაიწყეს პასუხის გაცემა. ისინი ქვემეხის ცეცხლს უმიზნებდნენ.

—ყოჩაღ, ბიჭებო! ოთხი ტანკი დაიმსხვრა — აღელვებით სთქვა კაპიტანმა. — მე მაგათ, მაგ ფაშისტ ქვეწარმავლებს...

ძველ ადგილზე დარჩენა თითქმის შეუძლებელი იყო: ტყვიები და ყუმბარების ნამსხვრევები მთელ არეს ჰფარავდა ქვემეხთან. გაანგარიშებიდან ოთხი უკვე მკვდარი იყო. მემიზნე ბახაროვი ხელში დაიჭრა. კაპიტანთან ქვემეხის მეთაური ლანჩავა მიიჭრა.

— ამხანაგო დივიზიონის მეთაურო, მემიზნე დაჭრილია.

— დაყენეთ მეორე მემიზნე!

— მეორე მემიზნე არ არის, ამხანაგო კაპიტანო.

— ამხანაგო ლანჩავა, დადექით მემიზნის ნაცვლად. მე დაგეხმარებით.

ლანჩავა წელში მოხრილი მივარდა ქვემეხს, გასინჯა სამიზნო და ხელი გამოჰკრა თოკს. ქვემეხმა დაიქუხა: ფაშისტთა მეხუთე ტანკი ადგილზე დარჩა.

კაპიტანი ჭურვებს ეზიდებოდა, ლანჩავა ისროდა. რამდენიმე გასროლის შემდეგ გერმანელთა მეექვსე ტანკიც გვერდზე გადაბრუნდა.

მტრის ჭურვის ნამსხვრევემა განგმირა კაპიტანი ხიგრინი. სამშობლოს ღირსეული შვილი, რომელმაც არ იცოდა შიში გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლაში, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდა და თავის პოსტზე დაიღუპა.

მის ნათელ ხსოვნას წმინდად ინახავს ჩვენი ნაწილის თვითეული მებრძოლი და მეთაური. მისი გმირობა აღგვაფრთოვანებს ბრძოლისა და გამარჯვებისათვის.

ა. ბალანდინი

მომქმედი არმია.

(„პრავდა“ 1/IX, 1941 წ. № 242)

გმირულ შრომაში �კვლოვ მეჯერზე გამარჯვება

სოციალისტური შრომის მოწინავენი

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსები და მუშა-მოსამსახურეები თავს წითელფრონტელებად სთვლიან და შრომის მაღალ ნაყოფიერებას ჰქმნიან.

ქარხანაში დღითი-დღე იზრდება ორასოვანთა მოძრაობა. მექანიკური საამქროს ზეინკალი ბაბაიანი საწარმოო დავალებას ყოველდღიურად 205-210 პროცენტით ასრულებს, ხარატი ი. კანდელაკი — 260-270 პროცენტით, ხარატი ალ. გამერშმიდტი—240-246 პროცენტით, საინსტრუმენტო საამქროს მრანდავი ნ. პავლოვი—300-320 პროცენტით, მრანდავი გ. მინაევი—260-275 პროცენტით, საწოლების საამქროს ჩამომსხმელი ე. კალანდაძე—200-205 პროცენტით, სალითონო საამქროს მეყალიბეები შ. ბედოევი და გ. ნურალოვი—250-290 პროცენტით.

(საქდესი).

მაღალი ნაყოფიერებით

სამტრედიის საკონსერვო კომბინატის კოლექტივმა აგვისტოს დავალება ვადამდე და საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა. სტახანოველი მუშები სონია ამაღლობელი, შურა კუპრავა, ოლია ჩაჩუა, ვერა შუბლაძე, ცვლის უფროსები თამარ შუბლაძე და წიგნოვაძე ყოველდღიურ ნორმებს 250-300 პროცენტით ასრულებენ.

გ. სიხარულიძე

გერმანელმა კოღმეურნეებმა სწრაფად აიღეს მოსავალი

ბაშკიჩეთი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). სოფ. ვალგემის ს. კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელშიც 90 გერმანელი ოჯახია გაერთიანებული, მთელი მუშაობა გარდაქმნილია სამამულო ომის ვითარების შესაბამისად. მოსავლის აღება გასულ წელთან შედარებით კოლმეურნეობის წევრებმა ადრე დაიწყეს. მუშაობდნენ თავდადებულად, დღისით იღებდნენ უხვ მოსავალს, ღამით აწარმოებდნენ ლეწვას. კოლმეურნეობის სალეწი მანქანა, რომელზეც ვოლდემარ ბაუერი მუშაობს, ღამეში გეგმით გათვალისწინებული 8 ტონის ნაცვლად 14-15 ტონას ლეწავდა.

დაძაბული მუშაობის შედეგად მოსავლის აღება კოლმეურნეობამ 16 აგვისტოს დაამთავრა, გალეწვა—26 აგვისტოს. მიღებული უდიდესი მოსავალი—სულ 190 ტონა მარცვლეული, როგორიც წინათ არასოდეს არ მიუღიათ (გასულ წელს სულ 20 ტონა მარცვლეული მიიღეს). ჰექტარზე გეგმით 12 ცენტნერის აღება იყო გათვალისწინებული. მაგრამ აქ საშუალოდ 16 ცენტნერი და ზოგან 19-20 ცენტნერი აიღეს.

პირველი მოსავლიდან კოლმეურნეობამ სახელმწიფო ვალდებულებები გაისტუმრა. დამამზადებელ ორგანოებს ჩააბარა 40 ტონა მარცვლეული, მტს-ს 30 ტონა. თავიანთი უხვი მოსავლიდან კოლმეურნეები წელს 4 კილოგრამამდე მარცვლეულს გაინაწილებენ თვითეულ შრომადღეზე. მიღლილან სიმინდისა და კარტოფილის ასეთივე უხვ მოსავალს.

კოლმეურნეობაში დაკვრითი ტემპით მიმდინარეობს მზადება საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვისათვის. გეგმის მიხედვით საშემოდგომოდ დათესილ უნდა იქნას 170 ჰექტარი, აქედან 85 ჰექტარი უკვე მოხნულია.

თავდაცვის საკოლმეურნეო ჰექტარები

ახალქალაქი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებს გამოაქვთ გადაწყვეტილება თავდაცვის საკოლმეურნეო ჰექტარების გამოყოფის შესახებ. სოფ. ხანდოს ვორშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ თავდაცვის ფონდისათვის გამოჰყო 4 ჰექტარი, ხოლო სოფ. ალსტანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ—3 ჰექტარი კარტოფილის ნათესი.

რაიონის 37 კოლმეურნეობას თავდაცვის ფონდისათვის გამოყოფილი აქვს 18,5 ჰექტარი კარტოფილი, 26 კოლმეურნეობას—6,6 ჰექტარი კომბოსტო. თავდაცვის ჰექტარებს მოწინავე სტახანოველი კოლმეურნეები უვლიან. მთელს ამ ფართობზე აღებული მოსავალი თავდაცვის სახალხო ფონდს გადაეცემა.

ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებში მალე დაიწყება საშემოდგომო თესვა. ასპინძის რაიონის კოლმეურნეობათა მსგავსად ისინი ამ შემოდგომაზე გეგმის ზევით კიდევ დათესავენ თავდაცვის ჰექტარებს.

თავდაცვის სახალხო ფონდი

საქართველოს მშრომელები აძლიერებენ თავდაცვის ფონდს

ქასპი („კომუნისტის“ კორ.). სამამულო ომის დღეებში ლენინგორის რაიონის კოლმეურნეთა შორის დიდი პატრიოტული აღმავლობაა. „ზაგატზერნოს“ ქასპის ბაზაში კვლავ მოდის მარცვლეულით დატვირთული ურმები წარწერით „თავდაცვის ფონდისათვის“.

სოფ. ქურთას, იკოთის, ზემო ყურის, ძეგლების, ყანჩაველის, ქვემო ბაგების, კატრიეულას და წირქოლის კოლმეურნეობების წევრებმა 176 ფუთი და 11 კილოგრამი ქერი და ხორბალი გამოგზავნეს.

ბორჯომის მშენებლობის მუშაკებს ყოველთვიურად ორი დღის ხელფასი (26.000 მან.) შეაქვთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდში. მშენებლობის სამმართველოს 66 მუშაკს პირველ ხელფასზე შეაქვს ნახევარი თვის ხელფასი (24.000 მან.).

ა. ჯანჯღავა

საგარეჯოს რაიონის უჯარმის სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობების წევრებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 7.370 მანეთის ობლიგაციები და 1.280 გრამი ვერცხლი.

იანეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს თავდაცვის ფონდში 2-3 შრომადღის ღირებულება შეაქვთ. მეხუთე უბნის კოლმეურნეებმა გადასწყვიტეს ყოველთვიურად 80 შრომადღის ღირებულება შეიტანონ. მათ უკვე შეიტანეს 300 მანეთი და 1.700 მანეთის ობლიგაციები.

ვ. ლეკვეიშვილი

ლიმმანტრესტის ახალშენის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 4.000 მანეთი და 5.000 მანეთის ობლიგაციები.

მშრომელ ქალთა რაიონული მიტინგი მცხეთაში

მცხეთა (ტელეფონით „კომუნისტის“ კორ.). ქ. ახალციხის პატრიოტ ქალთა მოწოდების საპასუხოდ 7 სექტემბერს დაბა მცხეთაში ჩატარდა მშრომელ ქალთა რაიონული მიტინგი, რომელსაც 1500-მდე მშრომელი ქალი დაესწრო. მოხსენებით გამოვიდა სოფ. ძეგვის საშუალო სკოლის მასწავლებელი ლენინის ორდენოსანი ამხ. მ. აბრამიშვილი.

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა უბნის აგრონომმა თამარ გიგუაშვილმა. მან ვალდებულება აიღო უახლოეს დროში სოფ. ძეგვის ცხაკაიას სახ. კოლმეურნე ქალებთან ერთად მოქსოვოს და წითელარმიელებს საჩუქრად გაუგზავნოს ფრონტზე 100 წყვილი წინდა. ექთანმა ამხ. ე. ნუბიეროვამ იკისრა 100 დიასახლისს შეასწავლოს პირველი ხახმარების აღმოჩენის საქმე.

კოლმეურნე ქალებმა ამხ. ზ. ზარიძემ და ნ. მუშკუდიანმა მიტინგზე დამსწრე ქალებს პირობა მისცეს 15 სექტემბრამდე თვითეულმა მოქსოვოს და გაუგზავნოს მებრძოლებს 3-3 წყვილი წინდა.

ძეგველი კოლმეურნე ქალები პირობას აძლევენ ანაღდებენ. ისინი შეუდგნენ წინდების ქსოვას. გარდა ამისა, სთესენ 3 ჰექტარ ხორბალს თავდაცვის ფონდისათვის.

მცხეთელ ქალთა რაიონულ მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს და ვალდებულებები აიღეს ავრეთვე ნ. ხუციშვილმა, თ. ალაჯანოვამ, მ. ლეკვეიმ და სხვ.

დ. რთველიაშვილი

მესამე ხუთწლედის სესხის ფირაქი

6 სექტემბერს მოსკოვის კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში შესდგა მესამე ხუთწლედის სესხის (მეორე წლის გამოშვება) მე-7 ტირაჟი. გათამაშებულ იქნა 888 ათასი მოგება, რომელთა საერთო თანხა 138.720.400 მანეთს შეადგენს.

3.000 მანეთიანი მოგება ერგო სესხის 74-ვე თანრიგის № 40 № 62.100 სერიის ობლიგაციას. (საკდესი).

ჩვენ არ დავივიწყებთ!

გერმანელი ფელდფებელის ფრანც ბრუმერის ცოლი სწერს ქმარს აღმოსავლეთ პრუსიიდან—ქალაქ მარიენბურგიდან: „იცი, ფრანც, მე არასოდეს არ დამავიწყდება ის დღე, როდესაც ჩემ სიცოცხლეში პირველად გავიგონე სროლა. დღეს სწორედ ეროი კვირა სრულდება. ჩვენ ისე მშვენივრად გვეძინა, და უცებ გამომეღვიძა და გავიგონე მძიმე აფეთქებანი. მაშინ უცებ მივხვდი, რომ სროლა იყო. ჩვენ მაშინ იძულებული გავხდით ჩავსულიყავით სარდაფში—იცი, სადაც ნავთი გვაქვს. მე ვფიქრობ, იქ უფრო მეტი საფრთხე მოგველოდა, ვიდრე ზევით. შემდეგ განგაში კიდევ იყო საშშაბათს დღისით და საღამოთი. საერთოდ ოთხჯერ ვიყავით სარდაფში. ელბინგში კი რვაჯერ იყვნენ, იქ კიდევ უარესი მდგომარეობა იყო. ჰოდა, აი ჩვენც მივიღეთ ცოტაოდენი ომი“...

ამრიგად ფრაუ ბრუმერს არასოდეს არ დაავიწყდება ის დღე, როდესაც პირველი სროლა გაიგონა! ისინი ფიქრობდნენ დელიკატურად ეომნათ, თავისი მეფღლეები არ შეეშინებინათ. ისინი ფიქრობდნენ, რომ მათს საცოლეებს არ შეაწუხებდა სულთმობრძავ ფრანგ, პოლონელ და სერბიელ ქალთა გმინვა.

ჩვენ გვახსოვს ივნისის დილა. ჩვენი ქვეყანა მშვიდობიანი ცხოვრებით ცხოვრობდა. დათავთავებული იყო უმაგალითო მოსავლის ყანები. მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიდიოდნენ. ლერმონტოვის იუბილესათვის ემზადებოდნენ. დასასვენებელ სახლებში მიემგზავრებოდნენ. და მაშინ თავს დაგვესხნენ გერმანელები. ამ პირველ სროლას ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ. ხიშტებით აიქოჩრა ჩვენი ქვეყანა. სიძულვილით აღიესო ყოველი რუსი ადამიანის გული.

ჩვენ არც იმას დავივიწყებთ, რაც შემდეგ მოხდა. ჩვენ არ დავივიწყებთ. როგორ ანგრევენ ჰიტლერელები ჩვენს ქალაქებს, ხოცავენ ჩვენს ბავშვებს. ჩვენ არაფერს არ დავივიწყებთ. ჩვენ ვდუმავართ სასჯელზე—ახლა სიტყვა ზარბაზნებს ეკუთვნის. მაგრამ ჩვენ ვიცით ერთი რამ: ისინი მშვიდად ვეღარ დაიძინებენ— ეს-ესთა დამები. ბეთლეჰემში ისინი გაიცნენ, თუ რა ხმა აქვს რუსულ

ამერიკის შეერთებული შტატების ქალთა მისალმება საბჭოთა კავშირის ქალებისადმი

ნიუ-იორკი, 7 სექტემბერი (საკდესი). მთელმა რიგმა ქალებმა—ამერიკის შეერთებული შტატების ქალთა მოძრაობის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების ცნობილმა მოღვაწეებმა—მოსკოვში გამართულ ქალთა მიტინგს მიჰმართეს მისალმებით, რომელშიც ამერიკის მილიონობით ქალთა სახელით სოლიდარობას უცხადებენ სსრ კავშირის ქალებს.

მისალმებანი გადმოსცეს „სსრ კავშირთან ურთიერთობის საკითხების საბჭოს“ თავმჯდომარემ მერი ვანკლიმ; უელსლის კოლეჯის პროფესორმა ვიდა სკადერმა და ცნობილმა ჟურნალისტმა ანა ლუიზა სტრონგმა.

ინგლისის ქალთა მისალმება საბჭოთა კავშირის ქალებისადმი

ლონდონი, 7 სექტემბერი (საკდესი). ქალთა ჯგუფმა — ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა, სხვადასხვა ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა შემდეგი მისალმებით მიჰმართეს მოსკოვში გამართულ ქალთა მიტინგს:

„რუსეთის ქალებს.

ჩვენ, ინგლისელი ქალები, მოგესალმებით საბჭოთა ქალებს როგორც ამხანაგებს ყველა თავისუფალ ხალხთა ბრძოლაში ნაციზმის საფრთხის წინააღმდეგ. ჩვენ თქვენსავით ღრეღალამ ვდგავართ ჩვენს კერებთან, ქარხნებსა და არმიაში, მამაკაცებთან მხარდამხარ გიბრძვით მოწინავე პოზიციებზე. ჩვენ აღგვაფრთოვანებს და გვამხნევებს თქვენი გმირობა და სიმტკიცე. თქვენთან ჩვენ გვაერთებს საერთო სიძულვილი ჰიტლერიზმისადმი, ნაცისტური რეჟიმის ბოროტებისადმი. თქვენი მიტინგის გადაცემას მივისმენთ ცხოველი ინტერესით და იმის მტკიცე რწმენით, - რომ ჩვენი ერთობლივი ღონისძიებანი გამარჯვებამდე მიიყვანენ ჩვენს საერთო საქმეს. ჩვენ მოუთმენლად მოველით იმ დღეს, როდესაც მთელი მსოფლიოს ქალები თავის როლს შესასრულებენ მთელი კაცობრიობის თავისუფალი, უზრუნველყოფილი და სამართლიანი მომავლის მშენებლობაში“.

შვეიცის ქალთა მისალმება საბჭოთა კავშირის ქალებისადმი

სტოკჰოლმი, 7 სექტემბერი (საკდესი). ქალთა ჯგუფმა—შვეიცარიის-საბჭოთა საზოგადოების წევრმა საზოგადო მოღვაწეებმა, ადვოკატებმა, ექიმებმა, მწერლებმა, მსახიობებმა და მუშა ქალებმა — მოსკოვში გამართულ ქალთა მიტინგს შემდეგი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნეს: „თქვენ, საბჭოთა კავშირის გმირ ქალებს, გულითადი სალამი შვედი ქალებისაგან, რომლებიც — თავიანთი ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იცავენ. ჩვენ გვიყვარხართ იმისათვის, რომ თქვენ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით და მამაცურად იბრძვით ჰიტლერიზმის სრულიად მოსასპობად. ჩვენ ურყევად გვწამს, რომ საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ყველა იმ ხალხთა გაერთიანებული ძალებით, რომლებიც ოემოკრატიისათვის იბრძვიან ჰიტლერიზმის უღლის წინააღმდეგ, ჩვენ მალე მოვიპოვებთ სრულ გამარჯვებას“.

საბჭოთა კავშირთან სოლიდარობის მოძრაობა

ნიუ-იორკი, 6 სექტემბერი (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ლიტველთა სამმა ორგანიზაციამ, რომლებშიც 18 ათასი წევრია გაერთიანებული, შექმნა ამ შტატებში „საბჭოთა კავშირისადმი სამეფიციანო დახმარების ლიტველთა კომიტეტი“. მთელ ამ შტატებში უკვე ასამდე მასობრივი მიტინგი მოეწყო.

კანადაში ფართოვდება მოძრაობა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური და კომერციული ურთიერთობის დამყარების სასარგებლოდ. მრავალი ორგანიზაცია მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ ყოველმხრივი დახმარება ალოფრჩინონ საბჭოთა კავშირს იმ ბრძოლაში, რომელსაც ფაშისტთა აგრესიის წინააღმდეგ ეწევა.

გაზეთმა „ნოვოე რუსკოე სლოვომ“ გამოაქვეყნა სტატია რუსი მოღვაწის შეპელეგისა, რომელმაც წინადადება შეიტანა მოწვეულ იქნას ყრილობა იმ 7 რუსული ორგანიზაციის წარმომადგენელთა, რომლებიც 200 ათას კაცს აერთიანებენ, რათა შეიმუშაონ საბჭოთა კავშირისათვის დახმარების აღმოჩენის ღონისძიებანი. „მტერი არ ელოდა ესოდენ დიდ ერთიანობას რუსი ხალხისას, რომელიც ერთი კაცივით გამოვიდა თავისი სამშობლოს დასაცავად,—სწერს შეპელევი.—მთელი მსოფლიო განცვიფრებულია წეთელი არმიის საუცხოო გმირობით“.

გაზეთის ცნობით, „რუს ძმობათა საზოგადოებამ“ გადაწყვეტილება მიიღო 50 ათასი დოლარი შეაგროვოს ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდისათვის.

საფრანგეთის პროფკავშირული მოღვაწეების მიმართვა ამერიკის შრომის ფედერაციის ლიდერებისადმი

ნიუ-იორკი, 6 სექტემბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ იუწყება, ამერიკის შრომის ფედერაციამ საფრანგეთის პროფკავშირული მოღვაწეებისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიც ისინი თხოულობენ დახმარების აღმოჩენას ვიშის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ღეპეშაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ, შრომის საყოველთაო კონფედერაციის დაშლის გამოცხადების მიუხედავად, საფრანგეთის ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციები განაგრძობენ მუშაობას კათოლიკურ და სხვა პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად. მოელიან, რომ ვიშის მთავრობა ამ ორგანიზაციებს აკრძალავს. მაგრამ დეპეშაში ნათქვამია, რომ ისინი წინააღმდეგობას განაგრძობენ არალეგალურად.

როგორც დეპეშაშია აღნიშნული, 20 დიდი პროფკავშირის მდივნებმა, პროფკავშირთა წინააღმდეგ პეტენის გამოსვლის პასუხად გამოაქვეყნეს მანიფესტი, რომელშიც აცხადებენ, რომ პროფკავშირები ვიშის მთავრობის პოლიტიკას არ ეთანხმებიან და იმედს გამოსთქვამენ, რომ ინგლისი გიმარჯვებს.

გუღგარეთის პარლამენტის საგანგებო სესიაზე

ათენი, 6 სექტემბერი (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, 3 სექტემბერს წინაღსნა ბულგარეთის პარლამენტის საგანგებო სესია. სესიის ღიღის წესრიგში პირველი იყო დასმული საკითხი „სახელმწიფოს დაცვის“ კანონის დამატებათა შესახებ, რომელნიც ითვალისწინებენ რეპრესიების გაძლიერებას ამ პირების მიმართ, ვინც საბოტაჟის აქტებს ჩაიდენს, ან გამოვა ბულგარეთის „მოკავშირეთა“ წინააღმდეგ, ან სხვა „სახელმწიფოებრივ დანაშაულს“ ჩაიდენს.

საქმეს გაცნობილ წრეებში აღნიშნავენ, რომ პარლამენტის საგანგებო სესიაზე ამ საკითხის დასმა გამოწვეულია მოსახლეობაში მთავრობის საწინააღმდეგო და ანტიგერმანული გამოსვლების გაზშირებით, რის შედეგად ბულგარეთში ფრიად დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. სესიაზე მოხსენებით გამოვიდა ამ საკითხზე იუსტიციის მინისტრი მიტაკოვი, რომელსაც მოითხოვა, რათა არალეგალური ჯგუფების ყველა ორგანიზატორი საკედლით ისჯებოდეს. ასევე უნდა ისჯებოდნენ ისინი, ვისაც დანაშაული მიუძღვის გერმანიისა და იტალიის არმიების სამსახურში მყოფ თანამდებობის პირთა წინააღმდეგ ხელყოფაში. რადგან გაზშირდა ჯარში გაწვეულთა შესაკრებ პუნქტებში გამოუცხადებლობის შემთხვევები, მიტაკოვმა მოითხოვა მრავალი წლის პატიმრობით დასჯა იმ პირებისა, ვინც სამხედრო სამსახურს აარიდებს თავს. ფურცლებს, მოწოდებათა და ლოზუნგთა გავრცელებისათვის, სახლებს კედლებზე წარწერებისათვის დამნაშავეთ უნდა მიესაჯოთ 10 წლის პატიმრობა, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში—სიკვდილით დასჯა. მიტაკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „განსაკუთრებულ შემთხვევებად“ იგულისხმება ყოველგვარი მოქმედება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს „მოკავშირეებთან“, ე. ი. გერმანიასა და იტალიასთან ურთიერთობის გაუარესება.

მიტაკოვის წინადადებით მის მიერ აღნიშნულ დანაშაულთა ყველა საქმე განხილულ უნდა იქნას დაუყოვნებლივ, ხოლო სასამართლოს მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენები შეიძლება საჯაროდ იქნას მოყვანილი სასრულეში.

საბერძნეთის ანტიფაშისტური მოძრაობა

ანკარა, 6 სექტემბერი (საკდესი). ბერლინიდან ანკარაში ჩამოსულ ბერძენ ემიგრანტთა ერთ ჯგუფს, ბერლინის ანტიფაშისტთა ბანდიტებს, 3 და 4 სექტემბერს მოკლულ იქნა კიდევ 3 გერმანელი ჯარისკაცი.

სხვა ქვეყნებშიც არ სწყდება ოკუპანტთა წინააღმდეგ არალეგალური ბრძოლა. ბულგარეთში ამასწინათ დიდი კატასტროფა მოხდა რკინიგზაზე სოფლეს რაიონში. ორი საჭონლის მატარებლის დაჯახების დროს 17 ვაგონი დაიმტვრა.

ამასწინათ ხორვატიაში გერმანელებმა ყველა სლავ ხალხთა კავშირის იდეის პროპაგანდისათვის რამდენიმე კაცი დახვრიტეს.

სერბიაში იმის შურისსაძიებლად, რომ ქუჩაში ერთი გერმანელი ჯარისკაცი მოჰკლეს, 50 სერბიელი დახვრიტეს 3 სექტემბერს. მთელს სერბიაში დაიწყო გერმანელ ჯარისკაცთა სადამსჯელო კამპანია აჯანყებულთა წინააღმდეგ. მაგრამ თავისუფლებისმოყვარულ ხალხთა ნებისყოფას ვერაფერი გასტეხს. ამ ცოტა ხნის წინათ ბელგრადის ქუჩაში მოჰკლეს სერბიის მაორი იუვიდეკი, როგორც მოღალატე, რომელიც გერმანელთა საოკუპაციო ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა. (საკდესი).

ამერიკელი კორესპონდენტი გერმანიის მძიმე საშინაო დაბრკოლებათა შესახებ

სტოკჰოლმი, 7 სექტემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტმა გრიგმა ბერლინიდან გადმოსცა წერილი, რომლის სათაურია „ომის მესამე წლის დასაწყისის წინ“.

გერმანიის მოსახლეობისათვის,—სწერს გრიგი,—ომი ნიშნავს მუდმივ ჩაბნელებას, პროდუქტების ნორმირებულ გაცემას, გაუთბობელ ბინებს, დაბოცილთა გრძელ სიებს გაზეთებში, ინგლისის თვითმფრინავთა გაზშირებულ თავდასხმებსა და 30 მილიარდ მარკა გადასახადს. ახასიათებს რა მოსახლეობის გაჭირვებას, რომელსაც უფრესად საჭირო რამ არ გააჩნია საარსებოდ, ავტორს მაგალითად მოჰყავს ის ფაქტი, რომ საათის შეკეთება მოითხოვს სამ თვეს, კოსტიუმის ქიმიური წმენდა ნახევარ წელიწადს გრძელდება. ახალი კოსტიუმის შეკვეთა სრულდება წლის განმავლობაში და მეტ ხანსაც. ომის მესამე წლის მიჯნაზე გერმანელთა ხელისუფლებას წინ უძღვის უძნელესი ამოცანა—როგორმე იშოვნონ სურსათი 90 მილიონი გერმანელისათვის. მეტად მწვავე მდგომარეობაშია მოსახლეობის მომარაგება ოკუპირებულ ქვეყნებში, რომელთაც, როგორც, მაგალითად, ბელგიას ან პოლანდიას, საშინელი შიმშილი მოელის. ასეთი მდგომარეობა შარშან ზამთარშივე იყო. ამ ზამთრის განმავლობაში სასურსათო საკითხი კიდევ უფრო მეტად გართულდება.

16 თვის განმავლობაში გერმანიაზე ინგლისის ავიაციის ღამის თავდასხმებმა, აღნიშნავს გრიგი, საშინელი კვალი დაჩნიეს გერმანიის მრავალ ქალაქს. ჩრდილოეთ გერმანიისა და რაინის ოლქის ქალაქებში ნგრევის კვალის აღმოფხვრას ვერ ახერხებენ. ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ყველაზე საშიში რაიონებიდან ბავშვთა ევაკუაცია ბავარიაში, ავსტრიაში, სუდეტის ოლქში, აღმოსავლეთ პრუსიაში, ბოჰემიასა და სლოვაკიაში. უკანასკნელ ხანს ევაკუაცია გაცილებით უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, რადგან შედეგმდგომზე საჰაერო თავდასხმების ინტენსიფიკაციას მოელიან. ახლა გერმანიის სამხედრო მანქანა ბრძოლაში ჩაბმულია აღმოსავლეთში და ანგარიში უნდა გაუწიოს ამ ომის წარმოების შესაძლებლობას რუსეთის სუსხიანი ზამთრის პირობებში. ამჟამად პირველად სწარმოებს საომარი მოქმედება ერთზე უფრო მეტ ფრონტზე, ატლანტიკისათვის ომს ჯერ ბოლო როდი უჩანს. ყოველივე ამას ემატება კითხვა, რომელიც ახლა ყოველ გერმანელს ებადება: ჩაებმებიან თუ არა ომში შეერთებული შტატებიო?

გერმანელ დამპყრობთა ცინიკური განცხადება

ბერნი, 6 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა „გერმანიის საინფორმაციო წრეების“ განცხადება იმის შესახებ, რომ „გერმანია არავითარ ვალდებულებას არ კისრულობს ოკუპირებული ქვეყნების მომარაგების დარგში“. საოკუპაციო ხელისუფლებას, — ნათქვამია განცხადებაში, — თავის მოვალეობად მიაჩნია მხოლოდ „წესრიგის დაცვა ოკუპირებულ ქვეყნებში“. საოკუპაციო არმიების ჩრდილოეთ ხარჯები ამ ქვეყნებს იკისრებათ და მომავალშიც მათ დაეკისრებათ.

ამ განცხადებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში. აქ აღნიშნავენ, რომ „წესრიგის დაცვა“ გერმანელებს ისე ესმით, რომ ოკუპირებული ქვეყნებიდან შეუჩერებლივ ზღიდნ სურსათი, სამრეწველო საქონელი და ნედლეული და ძარცვონ ეს ქვეყნები, რაც, ამრიგად, მათ შიმშილისა და სიღატაკის საშინელებას უმზადებს. გერმანელებმა თავისი ცინიკური განცხადებით ერთხელ კიდევ დაადასტურეს, რომ მათ კვლავაც განზრახული აქვთ დაპყრობილ ქვეყნებში განაგრძონ ავადმყოფური მძარცველური პოლიტიკა. ბუნებრივია, რომ ეს განცხადება ახალ ბიძგს მისცემს დამონებული ხალხების ნაციონალურ - განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერებას.

ამავე დროს გერმანელთა ამ განცხადებას იმის საბუთად სთვლიან, რომ ოკუპირებულ ქვეყნებში სასურსათო მდგომარეობა უკიდურესად გამწვავებულია და რომ გერმანელები ცდილობენ თავიდან მოიხსნან პასუხისმგებლობა ასეთი მდგომარეობისათვის.

ირანული გაზეთის მკვახე პასუხი ბერლინის რადიოსადმი

თეირანი, 7 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „ჟურნალ დე ტეგერანში“ მოთავსებულია მოწვნავე წერილი პროვოკაციული ცნობების თაობაზე, რომლებსაც სპარსულ ენაზე ავრცელებს ბერლინის რადიოსადგური.

გაზეთი სწერს, რომ ბერლინის რადიო ცრუ ცნობებს ავრცელებს ირანის მდგომარეობის შესახებ. მაგალითად, რადიოსადგურმა აღნიშნა, ვითომც თეირანის ჩრდილოეთ-დასავლეთმა ნაწილმა ბომბარდირება განიცადა, რის შედეგად დაზიანდა ოცამდე ადამიანი და ერთი ქალი. გაზეთის სიტყვით, თეირანს ასეთი ბომბარდირება არ განუცდია, რაც შეუძლია დაადასტუროს მთელმა თეირანის მოსახლეობამ. გაზეთი უარჰყოფს აგრეთვე ბერლინის რადიოს ცრუ ცნობას, ვითომც შაჰი თეირანიდან წასულიყოს ისპაჰანს. ჩვენ ვერ მოვითმენთ, — სწერს გაზეთი, — ამგვარ ჭორებს.

გერმანელთა მხეცობა პოლონეთში

ლონდონი, 7 სექტემბერი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, პოლონურმა ორგანიზაციამ, რომელიც მუშათა და გლეხთა 2 ათასზე მეტ არალეგალურ ჯგუფს აერთიანებს, მანიფესტი გადაგზავნა ლონდონს. ეს მანიფესტი შემაძრწუნებელი დოკუმენტია. მას დართული აქვს მრავალი ფოტოსურათი. ფოტოსურათებზე გამოხატული არიან პოლონელები, რომელნიც დახვრეტილ ამხანაგთა გვამებს მარხავენ, მთელი მოსახლეობის გაძევება ერთი პატარა ქალაქიდან, თვალახვეული ქალები და ქალიშვილები, რომელნიც დასახვრეტად მიჰყავთ, და სხვ.

მანიფესტში მოთხრობილია, რომ ერთ ქალაქში, ვარშავის მახლობლად, სიკვდილით დასჯილი 5.000 კაცი თხრილებში დამარხეს, შემდეგ გერმანელმა ხელისუფლებმა მოასწორეს თხრილი და ბაღი გაიყვანეს ამ ადგილზე. ასიათასობით პოლონელი საკონცენტრაციო ბანაკებში იტანჯება. დახოცილ-ნაწამებია ოჯახების გეტტაპოს მოკლე უწყებები მისდიან, მათგან 7 მარკას მოითხოვენ კრემაციისათვის.

ანტიფაშისტური მოძრაობა გერმანიის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში

ვერავითარი რეპრესია ვერ ჩაკრობს გერმანიის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში პატრიოტული ორგანიზაციების ანტიფაშისტურ მოღვაწეობას. საფრანგეთში რეგულარულად გამოდის რამდენიმე ანტიფაშისტური გაზეთი. ერთერთ გაზეთს ამაყი სახელი ჰქვია—„ვალმი“. როგორც ვიცით, 1792 წელს ვალმისთან მომზდარ ცნობილ ბრძოლაში რევოლუციური საფრანგეთის ჯარმა სასტიკად გაანადგურა გერმანელ-ავსტრიელ ინტერვენტთა არმია. გაზეთ „ტაიმსის“ კორესპონდენტის განცხადებით, საფრანგეთის ყოველ პუნქტში შეიძლება კაცმა იყიდოს ანტიფაშისტური გაზეთები, მათ შორის კომპარტიის ორგანო „ლუმანიტე“. გაზეთ „ლა ლიბერასიონის“ (განთავისუფლება) მუდმივი ტირაჟი 200 ათას ცალს შეადგენს.

პარიზის სამხედრო ტრიბუნალი განაგრძობს ანტიფაშისტთა მასობრივ შეფუსვრას; მან მარტო ამ უკანასკნელ დღეებში გამოიტანა სიკვდილით დასჯის 3 განაჩენი, 12 საკატორღო და 15 პატიმრობის განაჩენი 179 წლის საერთო ვადით. სიკვდილით დასასჯელნი გილიოტინირებულ იქნენ განაჩენის გამოტანის მეორე დღესვე. კოლონიური ჯარის ექიპს სისს, რომელსაც ბრალდება „დანაშაული საფრანგეთის უშიშროებისა და ერთიანობის წინააღმდეგ“, დაუსწრებლად გამოუტანეს სიკვდილით დასჯის განაჩენი.

გერმანელები მოქმედებენ, როგორც თავიანთ საკუთარ მამულში; მთ სრულებით ვაძარცვეს ფრანგი ხალხი. ფრანგებს თავზარსა სცემს მშიერი ზამთრის მოახლოება. ამჟამად პარიზში ხორცის გაცემის ნორმა კვირაში 40 გრამამდე შეამცირეს. ერთი მატროსის განცხადებით, საფრანგეთში სრულებით აღარ დარჩა ბოსტნეული, ვინაიდან „გერმანელებმა ყველაფერი წაიღეს პირწმინდად“. იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანელ ჯარისკაცთ დაკავშირებით, ოფიცერთ აშკარად ეწინააღმდეგებიან ძარცვა-გლეჯაში, საოკუპაციო ხელისუფლებამ მასობრივი დაპატიმრება დაიწყო, დაპატიმრებულთ ბრალად სდებენ „სურსათის განაწილების წესთა დარღვევას“. ოკუპანტებს ბერძენი ხალხიც შიმშილით სასიკვდილოთ ჰყავთ განწირული. ამას წინათ თურქეთიდან პირეში მოსულ ორ გემს, რომელიც სურსათით იყო დატვირთული, გერმანელებმა აუკრძალეს დაცლა და უბრძანეს წასულიყო კონსტანცას, რათა გატაცებული სურსათი გერმანიაში გაეგზავნათ. გატაცებულია ბერძენი სურსათი, რომელიც კორფუს კუნძულზე იგზავნებოდა.

მაროდიორები არც ისტორიული ძეგლების მოსპობას ერიდებიან. ამჟამად, კერძოდ, პარიზის ერთერთ მოედანზე ანგრევენ გამბეტას ქანდაკებას. საფრანგეთის მოღვაწეთა ყველა ბიუსტი, რომლებიც გაკეთებულია სპილენძისაგან, უნდა ჩაბარონ როგორც ლითონის ჯართი.

ფრანგი პატრიოტები ყველგან აქტიურად იბრძვიან ოკუპანტების წინააღმდეგ და დაუნდობლად სპობენ ფაშისტ ბანდიტებს. 3 და 4 სექტემბერს მოკლულ იქნა კიდევ 3 გერმანელი ჯარისკაცი.

სხვა ქვეყნებშიც არ სწყდება ოკუპანტთა წინააღმდეგ არალეგალური ბრძოლა. ბულგარეთში ამასწინათ დიდი კატასტროფა მოხდა რკინიგზაზე სოფლეს რაიონში. ორი საჭონლის მატარებლის დაჯახების დროს 17 ვაგონი დაიმტვრა.

ამასწინათ ხორვატიაში გერმანელებმა ყველა სლავ ხალხთა კავშირის იდეის პროპაგანდისათვის რამდენიმე კაცი დახვრიტეს.

სერბიაში იმის შურისსაძიებლად, რომ ქუჩაში ერთი გერმანელი ჯარისკაცი მოჰკლეს, 50 სერბიელი დახვრიტეს 3 სექტემბერს. მთელს სერბიაში დაიწყო გერმანელ ჯარისკაცთა სადამსჯელო კამპანია აჯანყებულთა წინააღმდეგ. მაგრამ თავისუფლებისმოყვარულ ხალხთა ნებისყოფას ვერაფერი გასტეხს. ამ ცოტა ხნის წინათ ბელგრადის ქუჩაში მოჰკლეს სერბიის მაორი იუვიდეკი, როგორც მოღალატე, რომელიც გერმანელთა საოკუპაციო ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა. (საკდესი).

დანიის დანანილების კიბეერაული გეგმა

სტოკჰოლმი, 29 აგვისტო (საკდესი). ყველა ცნობა, რომელიც დანიიდან მოდის, ამას მოწმობს, რომ გერმანელები უახლოეს ხანში შეეცდებიან ბოლო მოუღონ ომ მოჩვენებითს დამოუკიდებლობას, რომლითაც ჯერ კიდევ თავს იმშვიდებს დანიის მთავრობა. ამას მოწმობს დანიაში მყოფ გერმანიის აგენტების მრავალრიცხოვანი განცხადებები. მაგალითად, გრაფი ბენტ გოლშტეინი ამასწინათ სწერდა, რომ „ზარადაც კი არ უნდა გავიკვლოთ, რომ გერმანია უარს იტყვის მის მიერ შემენილ სამხედრო პოზიციებზე დანიასა და ნორვეგიაში“. დანიაში გამოამავალი ფაშისტური ფურცელი „ფედრელანდეტი“, რომელმაც წამოროშა გერმანელთა გეგმები დანიის მიმართ, იმუქრება: „დანია ვერ მიიღებს გერმანიის ნებართვას დარჩეს დემოკრატიულ მუზეუმად“. პირველ რიგში გერმანელებს განზრახული აქვთ შეუერთონ გერმანიას სამხრეთ იუტლანდია.

ჰიტლერის გერმანიასთან სამხრეთ იუტლანდიის შეერთებისათვის მზადება უკანასკნელ დღეებში საგრძნობლად გაძლიერდა. როგორც გაზეთი „ნაციონალტიდენდენტ“ სწერს, გერმანელებმა სამხრეთ იუტლანდიაში შეაქმნეს ორგანიზაცია „შლეზვიგშე კამერადშაფტ“, რომელიც სინამდვილეში ფაშისტურ „შტურმკოლონნების“ ფილიალს წარმოადგენს. ეს ორგანიზაცია ცდილობს თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს სამხრეთ იუტლანდიის მცხოვრები ყველა გერმანელი 18-დან 40 წლამდე და მიზნად ისახავს სამხრეთ იუტლანდიის შეერთებას გერმანიასთან. სამხრეთ იუტლანდიის ფაშისტები აშკარად ატარებენ თავიანთი მომხრეების სამხედრო სწავლებას.

გერმანელების მზადების შესახებ სწერს აგრეთვე სამხრეთ იუტლანდიაში გამომავალი გაზეთი „ჰაიმდალი“. სთვლის რა შეუთავსებლად ასეთ მზადებას დანია-გერმანიის 1940 წლის 9 აპრილის ხელშეკრულებასთან, გაზეთი ითხოვს: „რამდენ ხანს აპირებენ უცქირონ ამას ასე უდარდელად ხელისუფლების წარმომადგენლებმა?“

დაპატიმრებანი ფინეთში

სტოკჰოლმი, 7 სექტემბერი (საკდესი). როგორ გაზეთ „პოლიტიკენის“ ჰელსინკელი კორესპონდენტი იუწყება, ჰელსინკის ქალაქის საბჭოს სესიის გახსნის დროს გამოირკვა, რომ 17 ხმოსანი დაპატიმრებულია „მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობისათვის“. დაპატიმრებულთა შორის არის 3 ჟურნალისტი.

გერმანელი ოკუპანტების ზერორი საფრანგეთში

ბერნი, 7 სექტემბერი (საკდესი). საშინელი რეპრესიების მიუხედავად, მთელს საფრანგეთში გრძელდება ანტიგერმანული გამოსვლები. საფრანგეთის მოსახლეობის სულიერ განწყობილებას საუკეთესოდ ასურათებს ოკუპირებული ზონის ყველა გაზეთში გამოქვეყნებული ბრძანება. ბრძანებაში ნათქვამია „1941 წლის 22 აგვისტოს, გერმანიის არმიის ოფიცრის მკვლელობის გამო, მე ვიუწყებოდი, რომ ყოველი ახალი თავდასხმისათვის დახვრეტილ იქნებოდნენ მძევლები. ამ გაფრთხილების მიუხედავად, გერმანიის არმიის მეორე ოფიცერი კვლავ მსხვერპლი აღმოჩნდა 1941 წლის 3 სექტემბრის თავდასხმისა. ამ თავდასხმის გამო რეპრესიის სახით 1941 წლის 6 სექტემბერს დახვრეტილ იქნა 3 ფრანგი მძევალი“. ხელს აწერს: „საფრანგეთში მყოფი გერმანელთა საოკუპაციო ჯარების უფროსი“.

ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრი განცხადება ამერიკის საესკადრო ნაღმოსანზე

გერმანიის წყალქვეშა ნავის თავდასხმის შესახებ

ნიუ-იორკი, 7 სექტემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტროს, ამერიკის საესკადრო ნაღმოსან „გრირზე“ გერმანიის წყალქვეშა ნავის თავდასხმასთან დაკავშირებით, განუცხადებია: „გერმანელების იმ მტკიცებების მიუხედავად, რომელიც დღევანდელ პრესაში გამოქვეყნდა, იმის შესახებ, რომ „გრირი“ თავდამსხმელი მხარე იყო წყალქვეშა ნავთან შეტაკების დროს, ფაქტები იმასვე მოწმობენ, რაც უკვე განაცხადა საზღვაო სამინისტრომ, სახელდობრ იმის, რომ ამ შეტაკებაში წყალქვეშა ნავი პირველი დაესხა თავს „გრირს“ და „გრირმა“ მხოლოდ მაშინღა, და არა წინათ, მიიტანა იერიში წყალქვეშა ნავზე“.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო საზღვაო ომის შედეგებზე

ლონდონი, 6 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის საზღვაო მინისტრ ალექსანდრის განცხადებით, გერმანიის მიერ ოკუპირებული ხელში იყო 14 მილიონ ტონა საერთო წყალწყვის ფლოტი. ოთხი მილიონი წყალწყვის გემები ან წაართვეს, ან ჩაუძირეს. ამრიგად, ღერძის ქვეყნებმა დაკარგეს თავიანთი ტონაჟის ორი მეშვიდედი, რის მნიშვნელოვანი ნაწილი ინგლისის სავაჭრო ფლოტს შეუერთდა.

როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო აღნიშნავს, ლონდონის ავტორიტეტულ წრეებში აცხადებენ, რომ საზღვაო ბრძოლის შედეგები აგვისტოში უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე იგლისში. განსაკუთრებით წარმატებითი აღმოჩნდა კონვოების გამოყენება სავაჭრო გემების დასაცავად. მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ აგრეთვე ხმელთაშუა ზღვაში იტალიის ნაოსნობის წინააღმდეგ ბრძოლაშიო. (საკდესი).

ინგლისი-გერმანიის ომი

ლონდონი, 7 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 6 სექტემბრის ღამის განმავლობაში მოწინააღმდეგის თვითმფრინავები გამოჩნდნენ სამხრეთ-დასავლეთ და აღმოსავლეთ ინგლისში. სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში ჩამოგდებულმა ყუმბარებმა ერთგვარი ზარალი გამოიწვიეს. არის მსხვერპლი. ინგლისის ავიაცია 6 სექტემბერს ღამით თავს ესხმოდა რურს.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 7 სექტემბერი (საკდესი). ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნაუქვამია, რომ 6 სექტემბერს, ღამით ინგლისის ყუმბარმშენებმა თავდასხმა მოაწყეს გიულსის სინთეზური კაუჩუკის დიდ ქარხანაზე (რაინის ოლქი). ამინდი ხელს უწყობდა ინგლისის თვითმფრინავთა მოქმედებას. მოხდა მრავალი აფეთქება. ბეგრგან დიდი ხანძარი გაჩნდა. ყუმბარა დაუშინეს აგრეთვე გზებს და სხვა სამრეწველო ობიექტებს დასავლეთ გერმანიაში.

სანაპირო თავდაცვის თვითმფრინავებმა წუხელ იერიში მიიტანეს ნორვეგიის დასავლეთ სანაპიროს ნავსადგურ ბერგენზე. ყუმბარა მოხვდა თევზის ქონის დამამზადებელ ქარხანას, სადაც ხანძარი გაჩნდა. ამ ოპერაციებიდან თავიანთ ბაზაში არ დაბრუნებულა 8 ყუმბარმშენი.

ლონდონი. როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 4 სექტემბერს, ღამით ინგლისის სანაპირო ავიაციის „ბოფორის“ ტიპის თვითმფრინავმა, რომელიც სანაპიროს პატრულობდა, იერიში მიიტანა მტრის ტანკერზე. მეორე თვითმფრინავმა ყუმბარა დაუშინა ლა პალისის (საფრანგეთი) ქარხანას.

მტრის ერთმა ყუმბარმშენმა იმავე ღამეს ყუმბარა დააყარა ერთერთ პუნქტს ბელგიაში, ვიდრე ინგლისი.

თვითონ გერმანიას ომამდე ჰყავდა საავაჭრო ფლოტი, რომლის საერთო წყალწყვა 4½ მილიონ ტონას უდრიდა. ოკუპირებული ქვეყნების სავაჭრო ფლოტი, რომელიც ინგლისს ეკუთვნოდა, 11½ მილიონ ტონას ეტოლებოდა. ამ ფლოტიდან ინგლისს ომის დროს 2½ მილიონ ტონაზე მეტი ჩაეკარგა.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 7 სექტემბერი (საკდესი). ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნაუქვამია, რომ 6 სექტემბერს, ღამით ინგლისის ყუმბარმშენებმა თავდასხმა მოაწყეს გიულსის სინთეზური კაუჩუკის დიდ ქარხანაზე (რაინის ოლქი). ამინდი ხელს უწყობდა ინგლისის თვითმფრინავთა მოქმედებას. მოხდა მრავალი აფეთქება. ბეგრგან დიდი ხანძარი გაჩნდა. ყუმბარა დაუშინეს აგრეთვე გზებს და სხვა სამრეწველო ობიექტებს დასავლეთ გერმანიაში.

ინგლისის საზღვაო ომის შედეგები

ლონდონი, 6 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის საზღვაო მინისტრ ალექსანდრის განცხადებით, გერმანიის მიერ ოკუპირებული ხელში იყო 14 მილიონ ტონა საერთო წყალწყვის ფლოტი. ოთხი მილიონი წყალწყვის გემები ან წაართვეს, ან ჩაუძირეს. ამრიგად, ღერძის ქვეყნებმა დაკარგეს თავიანთი ტონაჟის ორი მეშვიდედი, რის მნიშვნელოვანი ნაწილი ინგლისის სავაჭრო ფლოტს შეუერთდა.

როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო აღნიშნავს, ლონდონის ავტორიტეტულ წრეებში აცხადებენ, რომ საზღვაო ბრძოლის შედეგები აგვისტოში უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე იგლისში. განსაკუთრებით წარმატებითი აღმოჩნდა კონვოების გამოყენება სავაჭრო გემების დასაცავად. მნიშვნელოვან წარმატ